GCSD TRC

ბოკო ჰარამი

აღწერითი კვლევა

ბოკო ჰარამი

აღწერითი კვლევა

ანა ლელაძე

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულების და გამჭირვალობის პრინციპებს.

GCSD-სთან არსებული ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC) არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა და ამ ფენომენებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში არსებული ცოდნის ნაკლებობის შევსება. ცენტრი საკუთარ მისიად მოიაზრებს შექმნას იმ ტიპის პროდუქტები, რომელიც სამომავლოდ საქართველოში ხსენებული საკითხების უფრო სიღრმისეულ კვლევას შეუწყობს ხელს, ასევე დაეხმარება ამ საკითხების მოქმედ მკვლევარებსა და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებს.

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის პოზიციას. ცენტრის წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

აბსტრაქტი

ბოკო ჰარამი არის დაჯგუფება, რომელიც ამბობს, რომ მოქმედებს ისლამის სახელით და რომელმაც ათობით ათასი ადამიანის სიკვდილი გამოიწვია ნიგერიაში და მის მეზობელ ნიგერში, ჩადსა და კამერუნში. მილიონობთ ადამიანს მოუწია საკუთარი საცხოვრებლის დატოვება. ბოკო ჰარამმა ფორმა მიიღო ჩრდილოეთ ნიგერიის შტატ ბორნოს დედაქალაქში, მაიდუგურიში 2000-იანი წლების დასაწყისში. ბოკო ჰარამი ცნობილი გახდა თავისი დამოკიდებულებით დასავლური განათლების მიმართ. მათი აზრით, დასავლური სტილის განათლება ეკუთვნის უფრო დიდ, ბოროტ სისტემას, რომელიც ასევე მოიცავს მრავალპარტიულ დემოკრატიას, სეკულარულ სახელმწიფოს, კონსტიტუციონალიზმს და ა.შ. და ბოკო ჰარამისთვის ეს ინსტიტუციები არა მხოლოდ არაისლამურია, არამედ ანტიისლამურიც არის. წლების განმავლობაში ბოკო ჰარამმა შეინარჩუნა თავისი იდეოლოგიის ძირითადი ნაწილი, თუმცა პერიოდულად დაჯგუფება იცვლიდა სტრატეგიებს, ტაქტიკებს და ქმედებებს. ბოკო ჰარამი დღემდე არის ერთ-ერთი ყველაზე მომაკვდინებელი დაჯგუფება.

მოცემული აღწერითი კვლევა მიმოიხილავს ბოკო ჰარამთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს, როგორებიცაა ისლამის ისტორია ნიგერიაში, ასევე მისი სახელის მნიშვნელობას, სადაც კარგად ჩანს დაჯგუფების დამოკიდებულება მრავალ საკითხთან მიმართებაში. განხილულია ბოკო ჰარამის ისტორია და განვითარების ეტაპები. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ბოკო ჰარამის საწყის პერიოდთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე განსხვავებული თეორია და, ვინაიდან და რადგანაც საწყისმა პერიოდმა დიდი როლი ითამაშა დაჯგუფების დღევანდელი სახით ჩამოყალიბებაში, ეს პერიოდი ყველაზე დაწვრილებითაა განხილული. ასევე მიმოხილულია ბოკო ჰარამის ფინანსების, ორგანიზაციული მოწყობისა და რელიგიური საფუძვლების საკითხები, ისევე როგორც ნიგერიის მთავრობის პასუხები და კონტრ-ტერორისტული სტრატეგია. საბოლოოდ კი მოცემულია მნიშვნელოვანი ტერორისტული აქტების ჩამონათვალი, რომელზე დაკვირვებითაც კარგად ჩანს ბოკო ჰარამის სტრატეგიული განვითარება, მათ მიერ სამიზნეების შერჩევა და მათი დესტრუქციული ქმედებები. განხილულია ბოკო ჰარამის მიერ გამოყენებული რეკრუტირების სტრატეგიები. კვლევა მიმოიხილავს ბოკო ჰარამს, როგორც პატარა რელიგიური დაჯგუფებიდან სრულმასშტაბიან ტერორისტულ ორგანიზაციამდე მისულ მოძრაობას, რომელიც დღემდე აქტიური რჩება და დიდ გამოწვევებს უყენებს ჩადის ტბის რეგიონის ქვეყნებს.

აბრევიატურები და მათი განმარტება

AQIM - ალ-კაიდა ისლამურ მაღრებში
MNJTF - მრავალეროვნული გაერთიანებული ძალები
ISWAP - ისლამური სახელმწიფოს დასავლეთ აფრიკის პროვინცია
JAS - Jama'atu Ahlis Sunna Lidda'adati wal-Jihad - „წინასწარმეტყველის სწავლებისა და ჯიჰადის გავრცელებისთვის თავდადებული ხალხი"
JTF - გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური ძალები
NACTEST - ეროვნული კონტრ-ტერორისტული სტრატეგია
ONSA - ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველის ოფისი
PCVE - ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია და მასთან გამკლავება
ECOWAS - დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოების ეკონომიკური საზოგადოება

სარჩევი

რელიგიური საფუძველი და მნიშვნელოვანი ტერმინები: სალაფიზმი, ჯიჰადიზმი და სალაფიტური-ჯიჰადიზმი 5
ისლამი ნიგერიაში - ისტორიული ფონი და მისი მნიშვნელობა 7
ბოკო ჰარამი - რას ნიშნავს ეს სახელი? 9
რა არის ბოკო ჰარამი? ზოგადი ისტორია 12
დასაწყისი 12
„მშვიდი“ წლები 16
2009 წელი - მნიშვნელოვანი შემობრუნება 17
იუსუფის სიკვდილი და მისი ბოლო ინტერვიუ 19
იუსუფის შემდეგ - შეკაუს პერიოდი 20
ანსარუ 23
ომი ჩრდილო-აღმოსავლეთ ნიგერიაში 25
დიდი გაყოფა 27
ბოკო ჰარამის ადმინისტრაციული მოწყობა 29
ფინანსები 31
ბოკო ჰარამის რეკრუტირების სტრატეგიები 32
ბოკო ჰარამთან ბრძოლა - სტრატეგიები 35
სამხედრო ოპერაციები 35
ეროვნული კონტრ-ტერორისტული სტრატეგია და საკანონმდებლო ჩარჩო 38
მნიშვნელოვანი ტერორისტული აქტების სია 40
შეჯამება 41
ბიბლიოგრაფია 42
დანართები 45
დანართი 1 45
დანართი 2 47

რელიგიური საფუძველი და მნიშვნელოვანი ტერმინები: სალაფიზმი, ჯიჰადიზმი და სალაფიტური-ჯიჰადიზმი

იმისთვის, რომ გავიგოთ ბოკო ჰარამის მსოფლმხედველობა და დავინახოთ მისი ადგილი გლობალურ, ეროვნულ და ლოკალურ კონტექსტში, ეს სამი ტერმინი ძალიან მნიშვნელოვანია: სალაფიზმი, ჯიჰადიზმი და სალაფიტური-ჯიჰადიზმი. ეს ტერმინები ხშირად გამოიყენება, მაგრამ იშვიათადაა კარგად და დაწვრილებით განმარტებული.

„სალაფიზმი“ მოდის არაბული სიტყვა სალაფიდან, რაც ნიშნავს *„წინაპრებს“.* ფრაზას ალ-სალაფ ალ-სალიჰ ან „რელიგიური წინაპრები“ აქვს განსაკუთრებული დატვირთვა სუნიტურ მუსლიმურ თემში, რაც გულისხმობს პირველ მუსლიმებს, რომლებსაც თანამედროვე მუსლიმები წმინდად მიიჩნევენ. სალაფიტები ცდილობენ მიბაძონ ამ ადრეულ მუსლიმებს, თუმცა სხვა მუსლიმების მსგავსად, ისინიც აკეთებენ არჩევანს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ასპექტებს მეტად გაუსვან ხაზი და რას - ნაკლებად. თეოლოგიურად, სალაფიტები ხაზს უსვამენ ყურანის პირდაპირ, სიტყვასიტყვით გაგებას. სალაფიტები ცდილობენ „განწმინდონ“ სხვა მუსლიმები, როდესაც ისინი გზას გადაუხვევენ. ისტორიულად, სალაფიზმი თავისი დღვანდელი ფორმით მე-19 საუკუნეში აღმოცენდა, როდესაც საუდის არაბეთი გახდა როგორც ქსელის ცენტრალური ნაწილი, რომელიც სალაფიტებს იზიდავდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, ასევე იქცა გამგზავნადაც, რადგან აქედან ვრცელდებოდა სალაფიზმი სხვადასხვა ტერიტორიებზე. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში სლაფიზმი უკვე მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებული, მაგრამ ამავდროულად განსაკუთებით „ლოკალიზებულიც“ იყო რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის ნიგერიაში.

„სალაფიტური-ჯიჰადიზმი“ არის სალაფიტური მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი განშტოება, მაგრამ ჯიჰადიზმის წარმოშობა განსხვავდება სალაფიზმისგან. ისლამურ ისტორიაში ჯიჰადი („ღწვის“ მნიშვნელობით) ატარებდა როგორც სამხედრო, ისე არასამხედრო დატვირთვას. „ჯიჰადიზმი“ ეწოდება იდეოლოგიას, რომელმაც ფორმა მიიღო 1960-იან და 1990-იან წლებს შორის ძირითადად რადიკალურად განწყობილ მასებში, მუსლიმი ძმების იდეოლოგის, საიდ კუტბის გავლენით. ამ ათწლეულების განმავლობაში ბევრმა კომპლექსური ლეგალური და სპირიტუალური საკითხები დაიყვანა სამხედრო ქმედებასა და იდეოლოგიურ ექსტრემიზმამდე. ბევრი ჯიჰადისტისთვის მუსლიმი მმართველები მხოლოდ სახელით არიან მუსლიმები. ამ მმართველების დაყრდნობა „ადამიანების მიერ შექმნილ კანონებზე“, მუსლიმი აქტივისტების შევიწროვება და მათი ალიანსი დასავლეთთან, ჯიჰადისტების თვალში მათ მოღალატეებად აქცევს. ზოგიერთი ჯიჰადისტი დასავლეთს, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებს აღიქვამს როგორც „შორეულ მტრად“ ან საბოლოო სამიზნედ და სჯერათ, რომ მუსლიმური საზოგადოებები ვერ განიწმინდება, სანამ მსგავსი ტიპის ჰეგემონია არსებობს. „სალაფიტური-ჯიჰადიზმი“, შესაბამისად, აღნიშნავს სალაფიტური თეოლოგიისა და ჯიჰადისტური იდეოლოგიის კომბინაციას, ერთგვარ ჰიბრიდს, რომელიც 1990-იან წლებში გამყარდა.

ისეთი ჯგუფებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, ბოკო ჰარამი, ამ კომბინაციის ერთ-ერთი შედეგი იყო მუსლიმი მოქალაქეების წინააღმდეგ ძალადობის ღიად გამოხატული მზაობა. თუკი სალაფიტები ხედავენ არასალაფიტ მუსლიმებს, როგორც განდგომის საფრთხის ქვეშ მყოფებს და თუკი ჯიჰადისტები მუსლიმი მმართველების უმეტესობას მიიჩნევენ მოღალატეებად, რომლებიც სიკვდილს იმსახურებენ, სალაფი-ჯიჰადისტები ჩვეულებრივ მუსლიმებს ექცევიან ისე, თითქოს მათ ძალადობრივი გამოსწორება ესაჭიროებათ. (Thurston A. , Boko Haram: The History of A Jihadist Movement, 2018)

ბოკო ჰარამი მიზნად ისახავს ნიგერიის მასშტაბით შარიათის კანონების გავრცელებას და თუკი ეს ვერ მიიღწევა, მაშინ - სახალიფოს ჩამოყალიბებას ნიგერიის ტერიტორიაზე, სადაც ისლამური საკანონმდებლო სისტემა სრული მასშტაბით დაინერგება ყველანაირი ხელისშემშლელი ფაქტორების გარეშე. ბოკო ჰარამის ლიდერების მიხედვით, სახალიფო და ქვეყნის ისლამიზაცია გადაჭრიდა იმ პრობლემებს, რომლის წინაშეც ქვეყნის მუსლიმი მოსახლეობა დგას. მაგალითად, ბოკო ჰარამის ლიდერები ამტკიცებენ, რომ შარიათის საკანონმდებლი სისტემა უზრუნველყოფდა სამართლიანობას ღარიბებისთვის. ბოკო ჰარამისთვის მიუღებელია ნებისმიერი მუსლიმი, ვინც ეთანხმება ან რაღაც სახით ნაწილია დასავლური ან დემოკრატიული სისტემის ან მთავრობის, ერთვება დასავლურ ეკონომიკურ სისტემაში - კაპიტალიზმში. ბოკო ჰარამმა დაიწყო მეტად ქადაგების, გაცნობის და ხალხის მოზიდვის ფაზით, რომელიც გადავიდა ძალადობის და ამბოხების ფაზაში. (Comolli, 2015)

ისლამი ნიგერიაში - ისტორიული ფონი და მისი მნიშვნელობა

მიუხედავად იმისა, რომ ბოკო ჰარამმა საერთაშორისო მასშტაბით დიდი ყურადღება 2000-იანი წლების დასაწყისში მიიპყრო, ის ნამდვილად არაა ნიგერიის პირველი ისლამისტური მოძრაობა. ბოკო ჰარამმა ნამდვილად გამოავლინა ბრუტალურობის თითქმის უპრეცედენტო დონე, თუმცა რელიგიური ძალადობა ჩრდილოეთ ნიგერიისთვის სიახლე არ ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ ისლამი დასავლეთ აფრიკაში ტრადიციული რელიგიაა. ისლამი დღევანდელ ნიგერიის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მხრიდან შემოვიდა. შეუძლებელია მოვნიშნოთ ზუსტი დროის წერტილი იმასთან დაკავშირებით, თუ როდის დაიწყო ნიგერიის ისლამიზაცია, ან ფაქტორი, რამაც ეს გამოიწვია. ბევრი წყარო ადასტურებს, რომ ისლამის ყველაზე ნაადრევი ფესვები უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნიგერიაში, მაშინდელ კანემ-ბორნუს იმპერიაში შეგვიძლია ვიპოვოთ VII-VIII საუკუნეებში (Motin, 1987). ზუსტი წელი უცნობია, ამასთან ჩანს, რომ ამ პერიოდში მხოლოდ მცირე რაოდენობის ადამიანმა მიიღო ისლამი. პირველად დიდი განვითარება ისლამის მიმართულებით ნიგერიაში ჩანს XI საუკუნეში, როცა გვხვდება პირველი მუსლიმი მმართველი კანემ-ბორნუში, ჰუმაი (Hiskett, 1984).

XIX საუკუნემდე რეგიონი, რომელიც ახლა ჩრდილოეთ ნიგერიის სახელითაა ცნობილი დომინირებული იყო ქალაქ-სახელმწიფოებითა და სამეფოებით, რომელთა ლიდერებიც ძირითადად ჰაუსას ეთნიკური ჯგუფიდან იყვნენ. ისლამის ფართო გავრცელება ნიგერიაში XV საუკუნეს უკავშირდება, როდესაც ჰაუსას სამეფოებმა მიიღეს ისლამი. ეს დიდწილად დაკავშირებული იყო სავაჭრო გზების განვითარებასთან.

იმისთვის, რომ ჩავსვათ ბოკო ჰარამი ამ რელიგიურ კონტექსტში, მნიშვნელოვანი დამხმარე შეიძლება იყოს ჩრდილოეთ ნიგერიის მუსლიმური რელიგიური სფეროს მთავარი მოთამაშეების გაგება. პირველ რიგში, არსებობენ მემკვიდრეობითი მუსლიმი მმართველები ან „ემირები“. ეს ემირები არიან იმ ოჯახების შთამომავლები, რომლებიც მე-19 საუკუნეში იყვნენ მმართველობაში. ჩრდილო-დასავლეთ ნიგერიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მემკვიდრე მმართველი არის სოკოტოს სულთანი, რომელიც უსმან დან ფოდიოს (1754-1817) შთამომავალია. უსმან დან ფოდიომ გამოაცხადა ჯიჰადი, დააარსა სოკოტოს სახალიფო, მუსლიმური იმპერია ადრეულ მე-19 საუკუნეში, რომელმაც დაამარცხა ჰაუსა მეფეები და გააერთიანა მათი ტერიტორია სისტემით, სადაც მისი ლეიტენანტები მართავდნენ სხვადასხვა ემირატებს. (Harnischfeger, 2008)

პრეკოლონიური ჩრდილო-დასავლეთ ნიგერია იყო ბორნუს იმპერიის ეპიცენტრი, რომელიც კიდევ ერთი მუსლიმური პოლიტიკური ერთეული იყო. მე-19 საუკუნეში ბორნუს იმპერია გახდა უსმან დან ფოდიოს ჯიჰადის სამიზნე. იმპერიამ მიმართა მუსლიმ სწავლულს მუჰამად ალ-ამინ ალ-კანემის (1776-1837) სამხედრო დახმარებისა და რელიგიური ლეგიტიმაციისთვის. მას შემდეგ, რაც ბორნუს იმპერია წარმატებით გაუმკლავდა ჯიჰადს, ალ-კანემის შთამომავლებმა ჩაანაცვლეს მმართველი დინასტია. ბორნოს შეჰუ, რომელიც დღესდღეობით არის ჩრდილოეთ ნიგერიის მეორე ყველაზე გავლენიანი მემკვიდრეობითი მმართველი სოკოტოს სულთანის შემდეგ, არის სწორედ ალ-კანემის შთამომავალი.

მეორე ფატქორი რაც მნიშვნელოვანია, არსებობს სუფისტური ორდენები. სუფიზმის მიზანია მორწმუნე დააახლოვოს ღმერთთან და წინასწარმეტყველთან. ნიგერიაშიც, როგორც სხვაგან, სუფისტების უმეტესობა მიეკუთვნება ორდენებს, რომლებიც მოიცავენ შეიხების იერარქიებს. ნიგერიაში სუფიზმი საკამოდ ელიტარულ ფენომენად ითვლებოდა მეოცე საუკუნის შუამდე, როცა ყველაზე ცნობილი ორდენები ტიჯანია და კადირია მასაზე გათვლილ ორგანიზაციებად გადაკეთდა. (Paden, 1973)

ემირებსა და სუფისტ შეიხებს შორის ხანგრძლივი კავშირები ამ ჯგუფებს ჩრდილოეთ ნიგერიის „მუსლიმურ ინსტიტუციებად“ აქცევს. ჯგუფები, რომლებიც ემირებისა და სუფისტების მუსლიმურ წესრიგს ეწინააღმდეგებიან, ხშირად მარგინალიზებულები აღმოჩნდებიან ხოლმე. მათ გაუძლეს როგორც კოლონიალიზმს და მის რღვევას, ასევე პრეკოლონიურ პერიოდს. ბრიტანულმა კოლონიალიზმმა შეინარჩუნა, თუმცა ფუნდამენტურად შეცვალა ემირების პოზიცია ჩრდილოეთ ნიგერიის საზოგადოებაში. პირველად ხდებოდა, რომ ემირები არამუსლიმური გარეშე მხარის დაქვემდებარებაში იყვნენ. პოსტ-კოლონიურ პერიოდშიც პოლიტიკოსებისა და სამხედრო ადმინისტრატორების მხრიდან ემირებს ბევრი გამოწვევა აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მუსლიმი აგრძელებს მათი, როგორც მემკვიდრე მმართველების პატივისცემას, თუმცა ასევე ბევრმა დაინახა,რომ ნამდვილი პოლიტიკური ავტორიტეტი წარსულში ბრიტანელ კოლონიალსტებს, ხოლო აწმყოში - არჩეულ პოლიტიკოსებს გააჩნდათ.

მესამე ხაზგასასმელი ფაქტორია სალაფიტური მოძრაობა. ჩრდილოეთ ნიგერიული სალაფიზმს საფუძველი ჩაეყარა აბუბაქრ გუმის (1924-1992) მიერ. მან განათლება კოლონიურ სკოლაში მიიღო და დამოუკიდებლობის შემდეგ უფროს მუსლიმ მოსამართლედ მუშაობდა. 1966 წლის შემდეგ, როცა მისი პოლიტიკური მფარველი სამხედრო გადატრიალებაში მოკლეს, მან დატოვა თავისი ოფიციალური როლები და ანტი-სუფისტი პოლემისტი გახდა. 1978 წელს მისმა მიმდევრებმა დააარსეს ორგანიზაცია, რომელიც იზალას სახელითაა ცნობილი. ის ავრცელებდა ანტი-სუფიზმს ჩრდილო-ნიგერიის მასშტაბით. (Loimeier, Islamic Reform and Political Change in Northern Nigeria, 1997) იზალას აქტივიზმმა გაცხარებული დებატები გამოიწვია სუფისტებსა და სალაფისტებს შორის.

1990-იან წლებში თაობათა ცვლამ შიდა-სალაფიტური დაპირისპირება გამოიწვია. ახალგაზრდა იზალას წევრები, როგორიც იყო, მაგალითად ჯაფარ მაჰმუდ ადამი, მედინას საუდის არაბეთის ისლამურ უნივერსიტეტში წავიდნენ სასწავლებლად და დაბრუნებისას აღმოაჩინეს, რომ გუმის გარდაცვალების შემდეგ იზალა დაყოფილი იყო. მედინას კურსდამთავრებულებმა იზალას გარეთ დაიწყეს ტექსტების სწავლება, რომელიც თავად ისწავლეს უნივერსიტეტში. ისინი ახალგაზრდა მქადაგებლების რეკრუტირებას ეწეოდნენ თავიანთ ქსელში. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ახალწვეული იყო მუჰამედ იუსუფი, ბოკო ჰარამის დამაარსებელი, თუმცა ის მალე ძალიან კონტროვერსული გახდა ტენდენციური სალაფიზმისთვის. ადამისა და იუსუფის გაყოფა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვანძო მოვლენა ბოკო ჰარამის გზაზე ჯიჰადიზმისკენ. დღევანდელობაში, ნიგერიელი სალაფისტების უმეტესობა იზალასა და მედინას კურსდამთავრებულების ჩათვლით სასტიკად ეწინააღმდეგებიან ბოკო ჰარამს.

ბოკო ჰარამი - რას ნიშნავს ეს სახელი?

როგორც მოძრაობა, ბოკო ჰარამი ბევრი სახელითაა ცნობილი. მოძრაობის რაღაც ნაწილებს „იუსუფიად“ მოიხსენიებდნენ დამაარსებლის საპატივსაცემოდ, ასევე 2003-2004 წლებში ბევრი „ნიგერიული თალიბანის“ სახელითაც მოიხსენიებდა. თავად „ბოკო ჰარამი“ გარედან დარქმეული სახელწოდებაა. როგორც თავად წევრები ამბობენ, იუსუფს ჯგუფისთვის სახელი არ უწოდებია, თავად ოფიციალური არაბული სახელწოდებაც მოგვიანებით გამოჩნდა, როდესაც შეკაუს მმართველობა დაიწყო.

„ბოკო ჰარამი“ ხშირად ითარგმნება როგორც „დასავლური განათლება აკრძალულია“. თუმცა ამ თარგმანში დიდწილად იკარგება ნიუანსები და სიღრმე. ჰარამ არის ისლამის ლეგალური ტერმინი, რომელიც აკრძალულ ქმედებას გამოხატავს. იუსუფი ამბობდა,რომ თავად ისლამი კრძალავს დასავლური სტილის განათლებას: „ეს უცხო, გლობალური, კოლონიალისტური სკოლები ისეთ საკითხებს ეხებიან, რომლებიც ისლამურ კანონმდებლობას არღვევს და აკრძალულია მათი (სკოლების) მართვა, მხარდაჭერა და იქ სწავლება ან სწავლა“. იუსუფის მიერ კოლონიალიზმის ხსენება მიზანმიმართულია, რადგან ის განგრძობადობას ხედავდა ჩრდილო-ნიგერიელი მუსლიმების 1900-1960 წლებში ბრიტანეთის გავლენის ქვეშ ყოფნის გამოცდილებასა და მათ პოზიციას შორის პოსტ-კოლონიურ ნიგერიაში. იუსუფი ფიქრობდა, რომ მუსლიმებს უნდა დაეცვათ ისლამის სიწმინდე ყველასხვა სისტემისგან, რასაც მისი გადაგვარება სურდა. შესაბამისად, იუსუფი ამტკიცებდა, რომ დასავლური სტილის განათლების ჰარამ-ად გამოცხადება იყო სავალდებულო რელიგიური აქტი და არა მისი პირადი მოსაზრება. ბოკო ჰარამს არაერთხელ მიუმართავს ამ გამართლებისთვის, რომ ისინი მხოლოდ იმას ნერგავენ, რასავ ისლამი მოითხოვს და არ შემოაქვთ არაფერი ახალი.

ბოკო გადასათარგმნად რთული სიტყვაა. ერთ-ერთი მცდარი ეტიმოლოგიური განმარტებითო ბოკო ინგლისური სიტყვა book-ის (წიგნი) დამახინჯებული ფორმაა. თუმცა ლინგვისტები მიიჩნევენ, რომ ბოკო ჰაუსა სიტყვაა. მისი თავდაპირველი მნიშვნელობა არის „თაღლითობა“, „ყალბი“, „არაჭეშმარიტი“. როდესაც მას ზმნის სახით იყენებდნენ მისი მნიშველობის დაახლოებითი აღწერითი თარგმანი არის „ნებისმიერი რამის გაკეთება ისეთი წარმოდგენის შესაქმნელად, რომ რაღაც უკეთესია, უკეთესი ხარისხისაა ან უფრო მეტია, ვიდრე სინამდვილეში არის“. ბრიტანეთის კოლონიური მმართველობის დროს, ბოკოს საწყისი მნიშვნელობა, „ყალბი“ მიემაგრა დასავლური სტილის სწავლებას და რომანული სტილით ჰაუსაზე წერას, რომელსაც ჰაუსარ ბოკო ეწოდება. დასავლური სტილის განათლებისთვის ბოკოს წოდებამ შექმნა ისეთი განწყობა, რომ კოლონიურ სკოლებს სურდათ მუსლიმების შეცდენა მცდარი ცოდნის მიწოდებით. დღესდღეობით ჩრდილოეთ ნიგერიაში დასავლური სტილის განათლებასთან მიმართებაში მუსლიმებს ღრმად ამბივალენტური დამოკიდებულება აქვთ: ასეთი ტიპის განათლება ხანდახან ეჭვის საგანი ხდება, თუმცა ასევე წარმატებისკენ მიმავალ გზადაცაა აღიარებული.

სიტყვა ბოკოსთან ბევრად მეტი ასოცირდება, ვიდრე მხოლოდ განათლება. ფრაზა იან ბოკო, სადაც იან ნიშნავს „ხალხს“, შეიძლება გადაითარგმნოს, როგორც „დასავლური განათლების წარმომადგენლები“ - ხალხი, რომლებმაც დასავლური სკოლები დაამთავრეს. თუმცა ამ ფრაზას ასევე უფრო ფართო კონოტაციაც გააჩნია - „ხალხი, რომელიც დასავლური სტილის ჩარჩოებსა და ინსტიტუციებში ოპერირებს“ ან „დასავლური კულტურის წარმომადგენლები“. ამ ფრაზას ისეთი განწყობა დაჰყვება, რომ იან ბოკო არის ელიტა, რომელსაც ძალაუფლება აქვს იმიტომ რომ შეუძლიათ დასავლური სტილის ინსტიტუციებში ნავიგაცია. და როგორც დასავლური სტილის განათლებას შეუძლია მუდმივად იყოს ეჭვის გამომწვევიც და პატივსაცემიც, ასევე ხდება მისი პროდუქტების შემთხვევაში.

ყველა ამ იდეას თუკი გავაერთიანებთ, „ბოკო ჰარამი“ ნიშნავს დაახლოებით „დასავლური კულტურა აკრძალულია ისლამის მიერ“ ან „გადასავლურებული ელიტები და მათი ქცევები აკრძალულია ისლამის მიერ“ - არა მხოლოდ სკოლებში, არამედ პოლიტიკასა და საზოგადოებაშიც. ბოკო ჰარამმა ერთ-ერთი განცხადებაში პირდაპირ თქვა:

ბოკო ჰარამი არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ „დასავლური განათლება არის ცოდვა“, რასაც მედია მოგვაწერს ჩვენ. ბოკო ჰარამი სინამდვილეში ნიშნავს,რომ „დასვლური ცივილიზაცია“ არის აკრძალული. განსხვავება იმაშია, რომ როცა პირველი განმარტება ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ჩვენ იმ ფორმალური განათლების წინააღმდეგ მივდივართ, რომელიც დასავლეთიდან მოდის, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, მეორე განმარტება ჩვენს რწმენას ამტკიცებს ისლამური კულტურის (არა განათლების) უზენაესობის მიმართ, რადგან კულტურა უფრო ფართოა, ის მოიცავს განათლებას, მაგრამ არ შემოიფარგლება დასავლური განათლებით. ამ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ დასავლურ ცხოვრების სტილზე, რომელიც მოიცავს: კონსტიტუციურ დებულებებსა და ნორმებს, მაგალითად, ქალების უფლებებსა და პრივილეგიებს, ჰომოსექსუალიზმის იდეას, მრავალპარტიულ დემოკრატიას ისეთ უკიდეურესად ისლამურ ქვეყანაში, როგორიცაა ნიგერია, პროსტიტუციას, ალკოჰოლის მოხმარებას დასხვა, რაც ისლამურ ცივილიზაციას ეწინააღმდეგება. (VANGUARD NEWS, 2009)

სიტყვა ბოკო აღნიშნავდა იდეებისა და ინსტიტუციების სისტემას, რომელსაც ჯგუფი არამხოლოდ უარყოფდა, არამედ მიიჩნევდა, რომ იგი დიამეტრულად ეწინააღმდეგებოდა ისლამს.

შეკაუს მმართველობისას, ჯგუფმა მიიღო ოფიციალური არაბული სახელი “აჰლ ალ-სუნა ლიდ-და’ვა ვა’ლ-ჯიჰად”. ფართოდ გავრცელებული თარგმანი არის „წინასწარმეტყველის სწავლებისა და ჯიჰადის გავრცელებისთვის თავდადებული ხალხი“, რაც გადმოსცემს ძირითად მნიშვნელობას, მაგრამ იკარგება რამდენიმე ნიუანსი.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია აჰლ ალ სუნას მნიშვნელობაზე დაკვირვება, რომელიც არის შემოკლება აჰლ ალ-სუნა ვა’ლ-ჯამა-ს, რაც გულისხმობს „წინასწარმეტყველის სანიმუშო და მუსლიმური თემის ხალხი“. ალ-ჯამა თავის თავში მოიცავს თემში, საზოგადოებაში კონსესუსის მნიშვნელობას. აჰლ ალ-სუნას ტიტულზე პრეტენზიის ქონა ნიშნავს გქონდეს პრეტენზია უფლებაზე, განსაჯო ვინ არის ნამდვილი მუსლიმი და ვინ - არა. აჰლ ალ-სუნა-ს იდეა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სალაფიტი მუსლიმებისთვის. სალაფიტებისთვის ეს ფრაზა მიუთითებს იმაზე, რომ არ უნდა იყოსგანსხვავება სუნიტად და სალაფიტად ყოფნას შორის.

სალაფიტები ამბობენ, რომ ისინი არა მხოლოდ „ავრცელებენ“ წინასწარმეტყველის სწავლებას, არამედ მხოლოდ ისინი მოიცავენ ამას თავის თავში.

და’ვა-ს იდეა არის „ხალხის მოხმობა ისლამისკენ“. ბევრი სალაფიტი მიიჩნევს, რომ და’ვა მათი მთავარი მოვალეობაა. ეს მოხმობა და მოწოდება ვრცელდება არამუსლმებზე, თუმცა ასევე მოიცავს სხვა მუსლიმებისთვის მოწოდებას, რომ მათი პრაქტიკები და რწმენა სალაფიტების მიერ ისლამის გააზრებასთან თანხვედრაში მოიყვანონ. და’ვა-ზე ხაზგასმით ბოკო ჰარამი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ არ მიუტოვებია სალაფიზმის მისიონერული მიზანი. თუმცა დაჯგუფების სახელში ჯიჰადის ჩამატებით იმასაც ესმება ხაზი, რომ ისინი მზად არიან ბრძოლისთვის. სრული არაბული სახელი შეიძლება გადაითარგმნოს, როგორც „მართლმადიდებელი მუსლიმები, რომლებიც ხალხს ნამდვილი ისლამისკენ მოუწოდებენ და ერთვებიან წმინდა ომში“ - კიდევ ერთხელ, „ნამდვილი ისლამი“ რაც ხაზგასმულია ბოკო ჰარამის მიერ.

2015 წელს ისლამური სახელმწიფოსთვის ერთგულების ფიცის მიცემის შემდეგ ბოკო ჰარამის ოფიციალური სახელი გახდა „ისლამური სახელმწიფო დასავლეთ აფრიკის პროვინციაში“. ეს სახელი ბოკო ჰარამს წარმოაჩენს, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულს დაეშის „სახალიფოში“, ამ სახელთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ როგორც სხვა „პროვინციები“ ეს სახელიც მიზანმიმართულად აიგნორებს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს (ბოკო ჰარამი არ გახდა „ნიგერიის პროვინცია“, არამედ „დასავლეთ აფრიკის“). (Thurston A. , Boko haram - The History of an African Jihadist Movement, 2018)

რა არის ბოკო ჰარამი? ზოგადი ისტორია დასაწყისი

მიუხედავად იმისა, რომ მედიასა და საზოგადოებაში გავრცელებული ძირითადი აზრის მიხედვით ბოკო ჰარამის დაფუძნების თარიღად 2002 წელი მიიჩნევა და მის თავდაპირველ ლიდერად კი - მუჰამედ იუსუფი, თუმცა რეალურად იუსუფამდე რამდენიმე მნიშვნელოვანი ფიგურა მოღვაწეობდა და მათ შეიტანეს წვლილი იმაში, რადაც ჩამოყალიბდა საბოლოოდ ბოკო ჰარამი.

ნიგერიის უსაფრთხოების ძალების ინფორმაციის მიხედვით, დაჯგუფების ნამდვილი საწყისი და ფესვები შეგვიძლია 1995 წელს ვეძებოთ, როცა მაიდუგურის უნივერსიტეტში, ბორნოს შტატში, აჰლულსუნნა ვალ'ჯამა'აჰ ჰიჯრა (მუსლიმური ახალგაზრდული ორგანიზაცია) სექტა დააფუძნა აბუბაქრ ლავანმა. სექტა თავის ადრეულ წლებში შეიძლება დახასიათდეს, როგორც კონსერვატიული არაძალადობრივი ისლამური მოძრაობა. 2002 წელს ლავანმა ნიგერია დატოვა, რათა ისლამური სწავლება გაეღრმავებინა მედინას უნივერსიტეტში. მისი არყოფნის პერიოდში შეიხების კომიტეტმა მუჰამედ იუსუფი, იობეს შტატის სოფელ გირგირიდან, დანიშნა სექტის მეთაურად. მოგვიანებით მან ეს კომიტეტი დაითხოვა მის წევრებს შორის კორუფციის ბრალდებისა და ყურანის სწორად გადმოცემის უნარის არქონის საფუძველზე. იუსუფის ქადაგება ძირითადად დაუსაქმებელ ახალგაზრდებს იზიდავდა, რომლებიც იობეს და ბორნოს შტატებისა და მეზობელი ქვეყნების, ჩადისა და ნიგერის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. დაახლოებით ამ დროიდან მოყოლებული, სექტის დასახასიათებლად ბევრი სხვადასხვა სახელი გამოიყენებოდა, მათ შორის მუჰაჯირუნი, იუსუფია, „ნიგერიული თალიბანი" - რაც ზრდიდა იმის ეჭვს, რომ მათი სურვილი ნიგერიის მთავრობისა და მისი სეკულარული იდეოლოგიის გადაგდება იყო. იუსუფი ყურანის რადიკალურ ინტერპრეტირებას ახდენდა. იგი უარს ამბობდა ნიგერიაში მცხოვრები მუსლიმების სულიერ ლიდერად სოკოტოს სულთანის აღიარებაზე და ქადაგებდა ნიგერიის ვესტერნიზაციის წინააღმდეგ.

2003 წელს დაჯგუფებამ დატოვა მაიდუგური და დაფუძნდა იობეს შტატის სასოფლო დასახლებაში, სახელად კანამა. პირველი თავდასხმა დაჯგუფებამ 2003 წლის დეკემბერში განახორციელა იობეს შტატში, კანამასა და გეიამში, როცა ისინი თავს დაესხნენ საჯარო შენობებსა და პოლიციის განყოფილებებს. მათ კანამაში დააფუძნეს ბაზა, რომელსაც უწოდეს „ავღანეთი". სწორედ ამ დროს გახდა მათი ქმედებები უფრო და უფრო შემაშფოთებელი. უამრავი სტუდენტი ანებებდა თავს სწავლას, ანადგურებდნენ თავიანთ სერტიფიკატებსა და დიპლომებს და უერთდებოდნენ დაჯგუფებას. 2004 წლის 21 სექტემბერს ბორნოს შტატის ორ ქალაქში თავს დაესხნენ პოლიციის განყოფილებებს, მოკლეს რამდენიმე ოფიცერი და მათი იარაღი ჩაიგდეს ხელში.

ასევე სასურველია განვიხილოთ ბოკო ჰარამის ჩამოყალიბების ოდნავ განსხვავებული ვერსია, რომელიც რამდენიმე წყაროში გვხვდება და მოწოდებულია ენდრიუ ვოლკერის მიერ. 2002 წელს რამდენიმე ყველაზე რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდა, რომლებიც ლოცულობდნენ ალჰაჯი მუჰამმადუ ნდიმის მეჩეთში მაიდუგურიში, განეწყვნენ საკმაოდ კრიტიკულად ქალაქის ადმინისტაციისა და ასევე ლოკალური რელიგიური წესრიგის მიმართ, რომელიც მათი აზრით

კორუმპირებული იყო და დაკარგული ჰქონდა ისლამურ ღირებულებებთან შეხება. ამ განცდამ მათ უბიძგა იზოლირებულიყვნენ და გაემეორებინათ ერთგვარი ჰიჯრა, რომელსაც მუჰამედმა მიმართა მექადან მედინაში გადასვლისას. მათ გადაწყვიტეს გადასულიყვნენ იობეს შტატში, სადაც მოაწყობდნენ ბაზას კანამაში, საზღვრიდან სამ კილომეტრში მუჰამედ ალის ლიდერობით. კანამაში დაფუძნებული რელიგიური საზოგადოება, რომელსაც სახელად გადაერქვა „ავღანეთი“, დაფუძნებული იყო სალაფიტურ პრინციპებსა და თალიბანის სოციალურ მოდელზე - ბევრ წყაროშია აღნიშნული, რომ დასახლებაში გამოფენილი იყო ავღანეთის დროშაც. ისინი მოუწოდებდნენ სხვა მუსლიმებს დაბრუნებოდნენ ისლამის ნამდვილ მოწოდებებს. ახალი წევრები უერთდებოდნენ მეზობელი ნიგერიდან, ჩადიდან, კამერუნიდან, თუმცა მიუხედავად ზრდადი მრავალერონული წევრობისა, დაჯგუფება იღწვოდა ნიგერიაში გავლენის გავრცელებისთვის და მათი მესიჯები და ანტი-სახელმწიფოებრივი კრიტიკაც მიმართული იყო ნიგერიული ინსტიტუციებისკენ. ამ დროისთვის მათი რაოდენობა დაახლოებით 70 ადამიანს შეადგენდა და ჰქონდათ რაღაც რაოდენობის შეიარაღება, სავარაუდოდ მხოლოდ თავდაცვის მიზნით. 2003 წლის დეკემბერში, ზოგიერთი წევრი ჩართული იყო მეთევზეობის უფლებებთან დაკავშირებულ განხეთქილებაში და როდესაც პოლიცია ჩაერია, მოახერხეს, რომ რამდნეიმე ოფიცერს გამკლავებოდნენ და განეიარაღებინათ. საპასუხოდ, არმიამ ალყა შემოარტყა ლოკალურ მეჩეთს, რაც გრძელდებოდა 2004 წლის დასაწყისამდე, როდესაც დიდ ორმხრივ სროლაში მოკლეს მუჰამედ ალი და მისი მიმდევრების უმეტესობა და განადგურდა მათი კანამას ბაზა. გადარჩენილები დაბრუნდენ მაიდუგურიში რათა შეერთებოდნენ მათ თავდაპირველ ახალგაზრდულ ჯგუფს ალჰაჯი მუჰამმადუ ნდიმის მეჩეთში, რომელიც უკვე მუჰამედ იუსუფის მიერ იმართებოდა. მალევე იუსუფმა დააარსა იბნ თაიმია მასჯიდი (მეჩეთი) სპეციალურად ჯგუფისთვის, ქალაქის ცენტრის ჩრდილოეთით მიწაზე, რომელიც მისი სიმამრის ბაბა ფუგუ მუჰამედის კუთვნილება იყო. აქედან დაიწყო მათი წვდომის გაფართოება ბაუჩის, იობეს და ნიგერის შტატებში და დააარსეს რაღაც სახელმწიფოში სახელმწიფოს მსგავსი დამოუკიდებელი რელიგიური პოლიციითა და კაბინეტით. (Walker, What is Boko Haram?, 2012)

თუკი განვიხილავთ სხვადასხვა მოვლენას იდეოლოგიის ჭრილში, მეჩეთისთვის მე-19 საუკუნის თეოლოგის, იბნ თაიმიას სახელის დარქმევა შემთხვევითი სულაც არ ყოფილა. როგორც ზემოთ უკვე ნახსენებია, იბნ თაიმიამ შთააგონა ბევრი ულტრა-სალაფიტური მოძრაობა და მუჰამედ იუსუფმაც მისი სწავლებების გარშემო ააგო თავისი ქადაგებები. სალაფიზმი არის მოძრაობა სუნიტური ისლამის ფარგლებში, რომელსაც ახასიათებს ყურანისა და ჰადისების[1] ლიტერალისტური და პურიტანული ინტერპრეტაცია. მათი სწავლება, ე.ი. ისლამის მთავარი საწყისის სწავლება, არის სალაფიზმის ბირთვში და ეს არის გზა, თუ როგორ უნდა გაიწმინდოს ისლამი გარე, არა-ისლამური გავლენებისგან. (Meijer, 2009) სალაფიზმის მიმდევრები ხშირად მიდრეკილები არიან სახელმწიფოსთან დაპირისპირებისკენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სალაფიტები ძალადობრივად განწყობილები არიან. მეტად პრობლემატური და ძალადობრივი

1. გადმოცემა მუჰამედის შესახებ, რომელიც მის რომელიმე საქციელს ან გამონათქვამს აღწერს

არის ულტრა-სალაფიზმი, რომელიც სალაფიზმის კიდევ უფრო მკაცრი ფორმაა და რომელიც რადიკალურად წინააღმდეგია მის იდეოლოგიაში ინოვაციებისა, და ასევე სალაფი-ჯიჰადიზმი. რასაც ვერ უარვყოფთ არის ფაქტი, რომ სალაფიზმი და მისი მეტად რადიკალური ინტერპრეტაციები საკმაოდ ფუნდამენტალისტები არიან საკუთარ იდეოლოგიაში და, შესაბამისად, არ ეთანხმებიან ერთ სახელმწიფოში თანაარსებობას სხვა რელიგიებთან და თუნდაც ისლამის შედარებით ზომიერ ფორმებთან.

იუსუფის ქადაგებები შესამჩნევად ულტრა-სალაფიტური იყო. BBC-სთან ინტერვიუში იუსუფი განმარტავს:

თანამედროვე დასავლური სტილის განათლებაში არის ისეთი საკითხები, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩვენს რწმენას... მაგალითად, წვიმა. ჩვენ გვჯერა, რომ წვიმა ღმერთის ქმნილებაა და არა მზის გავლენით წყლის აორთქლება, რომელიც შემდეგ კონდენსირდება და წვიმად იქცევა... ასევე როდესაც ამბობენ, რომ დედამიწა სფეროსებრია. თუ ეს ეწინააღმდეგება ალაჰის სწავლებებს, ჩვენ ამას უარვყოფთ. ჩვენ ასევე უარვყოფთ დარვინიზმის თეორიას. (Boyle, 2009)

იუსუფი იყო განათლებული, ჰქონდა ხარისხი, საუბრობდა გამართული ინგლისურით და ცნობების მიხედვით, მერსედეს ბენცსაც ატარებდა და ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა.

სხვა წყაროების მიხედვით, 2000 წლამდე, კაცმა სახელად ამინუ ტაშენ ილიმი შთააგონა სტუდენტების ჯგუფი დაეტოვებინათ მაიდუგურის უნივერსიტეტი და მიჰყოლოდნენ უცხოელი მქადაგებლის სწავლებებს, რომელიც ამტკიცებდა, რომ დასავლური განათლება ისლამს ეწინააღმდეგებოდა. ამ ჯგუფმა გავლენის მოხდენა დაიწყო მუდამედ იუსუფზე, რომელიც მაშინ ალჰაჯი მუჰამმადუ ნდიმის მეჩეთში ქადაგებდა მაიდუგურიში,შედეგად მან დატოვა ეს მეჩეთი 2000 წელს და დაეფუძნებინა საკუთარი სასწავლებელი სტრუქტურა, რისთვისაც თავისი მამამთილის, ალჰაჯი ბაპურის კუთვნილებაში მყოფი შენობა გამოიყენა. 2002 წლიდან იუსუფის სწავლებამ დაიწყო მზარდი რაოდენობის ხალხის მოზიდვა,თუმცა ასევე გაიზარდა კრიტიკა ილიმისა და სხვებისგან, ვინც მის სწავლებას ზედმეტად ლიბერალურად მიიჩნევდა. ამიტომ ისინი გამოეყვნენ მას 2003 წლის ოქტომბერში და გადავიდნენ იობეს შტატში, სადაც კანამასთან ახლოს დააფუძნეს ბაზა - „ავღანეთი“ - რომლიდანაც ისინი გეგმავდნენ დამოუკიდებელი ტერიტორიის შექმნას. ისინი თითქმის ექსკლუზიურად მხოლოდ არაბულად საუბრობდნენ, რაც იშვიათი იყო და დანარჩენი მოსახლეობისგან განცალკევებით ცხოვრობდნენ. ამ ვერსიის მიხედვით, 2004 წლის იანვარში წევრები თავს დაესხნენ პოლიციის განყოფილებებს კანამასა და დამატუროში, რამაც სამხედრო ჩარევა გამოიწვია, რაც ორდღიან ბრძოლაში გადაიზარდა და ბოლოს მათი ათობით მიმდევარი მოკლეს, ხოლო 50 წევრი დააპატიმრეს. სექტემბერში მათთან დაკავშირებული დაჯგუფება თავს დაესხა ბორნოს შტატში პოლიციის განყოფილებებს და მოკლეს ოფიცრები. მსგავსი თავდასხმები განხორციელდა გვოზაშიც. ამ დროს უკვე ფედერალური მთავრობა ჩაერია სამხედრო ძალის გადასხმით და მანდარას მთებში ორდღიანი ბრძოლის შემდეგ 27 წევრი მოკლეს და დაჯგუფება იძულებული გახდა მიწისქვეშეთში გადასულიყო 2007 წლის მაისამდე. (Guasau, 2009)

1

კიდევ ერთი, საბოლოო ვერსია იმისა, თუ როგორ ჩამოყალიბდა ბოკო ჰარამი ამბობს, რომ მუჰაედ იუსუფმა სექტა 1990-იანი წლების ბოლოს ჩამოაყალიბა სახელით ალჰ ალ-სუნნა ვა-ლ-ჯამა'ა ვა-ლჰიჯრა. რომან ლოიმაიერი აღწერს იუსუფს როგორც შეიხ ჯაფარ მაჰმუდ ადამის სტუდენტს კანოში, თუმცა ის მისგან 2003 წელს დისტანცირდა და რომელთანაც 2007 წლამდე მუდმივ თეოლოგიურ დებატებში იყო. მასწავლებელი იუსუფს აკრიტიკებდა დასავლური განათლების უარყოფის გამო, რადგან თავად მიჩნევდა, რომ ეს საჭირო რამ იყო ხანგრძლივ ვადაში დასავლელ მტრებთან საბრძოლველად. ადამი ასევე არ ეთანხმებოდა ნიგერიის სახელმწიფოს მიმართ სამხედრო მოქმედებებს, იუსუფი კი მკაცრად ეწინააღმდეგებოდა როგორც სეკულარულ განათლების სისტემასა და ნიგერიულ ინსტიტუციებს, ასევე თანამედროვე ისლამურ სწავლებებს და არ აღიარებდა სოკოტოს სულთანს როგორც „ნიგერიელი მუსლიმების ნომინალურ მმართველს". (Loimeier, Boko Haram: The development of a Militant Religious Movement in Nigeria, 2012) ეს ბოლო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან კარგად ჩანს ის შეურიგებელი განსხვავებები, რაც არსებობდა იუსუფსა და არსებულ რელიგურ წესრიგს შორის. 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ადამი მოკლეს. ფართოდ გავრცელებული აზრია, რომ ეს მკვლელობა იუსუფის მიერ იყო შეკვეთილი და ამით კიდევ უფრო ნათელი გახდა რომ სექტასა და ჩრდილოეთ ნიგერიის რელიგიურ ინსტიტუტებს შორის მშვიდობის დამყარება შეუძებელი იყო. (Walker, What is Boko Haram?, 2012)

ამ ვერსიის მიხედვით 2003 წლის დეკემბერში კანამაში იუსუფის მიმდევრებსა და უსაფრთხოების ძალებს შორის მოხდა შეტაკებები, ხოლო იანვარში დაახლოებით 200 წევრი თავს დაესხა რამდენიმე პოლიციის შენობას. სექტემბერში კიდევ მეტი თავდასხმა განხორციელდა ბორნოს შტატში და 27 წევრი მოკვდა და ბევრი გაიქცა კამერუნში. (Loimeier, Boko Haram: The development of a Militant Religious Movement in Nigeria, 2012) ბოკო ჰარამის საწყისი ეტაპის ბოლო თავდასხმა განხორციელდა 10 ოქტომბერს, როდესაც ჩადის ტბასთან 60 პოლიციელისგან შემდგარ კორდონს დაესხნენ თავს. 12 პოლიციელი გაიტაცეს.

ზემოთნახსენები ვერსიები ბევრ რამეში ეწინააღმდეგება ერთმანეთს, თუმცა არის ელემენტები, რაც გადაკვეთის წერტილია ყველა მათგანში. ასეთია მუჰამედ იუსუფის გადამწყვეტი ლიდერული როლი. ასევე საკითხი რომელზეც თანხმდებიან არის რომ სახელი „ბოკო ჰარამი" მედიისა და ჯგუფის გარეთ მყოფი საზოგადოებების მიერ გამოიყენებოდა. თუმცა გაურკვეველია რამ გამოიწვია ძალადობა 2003 წელს, გარდა ერთი შემთხვევისა, როცა მეთევზეობის უფლებებზე იყო საუბარი. (Walker, What is Boko Haram?, 2012) დეივიდ ქუქი ამბობს, რომ 2003 [1] წლის პოლიტიკური კლიმატი შეიძლებოდა ყოფილიყო წამახალისებელი ფაქტორი, როდესაც პრეზიდენტი ობასანჯო, რომელიც ქრისტიანი იყო, ხელახლა აირჩიეს მეორე ვადით და იყო გავრცელებული ხმები, რომ არჩევნების შედეგები გაყალბებული იყო. თუკი ამ თეორიას დავუჯერებთ, დაჯგუფება პასუხისმგებლობას გრძნობდა დაეცვა მუსლიმთა ინტერესები. (Cook, 2011)

„მშვიდი“ წლები

როგორც ზემოთ განხილულია, რამდენიმე სხვადასხვა წყარო განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოვიდა დაჯგუფება 2004 წლამდე. თუმცა ნაკლები განსხვავებული მოსაზრება გვხვდება 2004-დან 2008 წლამდე პერიოდთან დაკავშირებით, რომელიც ასე თუ ისე „მშვიდ“ პერიოდად განიხილება ბოკო ჰარამის ისტორიაში. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მცირე თავდასხმას უსაფრთხოების ძალებზე, დაჯგუფება ძირითადად არააქტიურ ფაზაში იმყოფებოდა. მაგალითად, 2007 წელს დაჯგუფება კანოს შტატში გამოჩნდა და ფედერალურ საგზაო უსაფრთხოების ძალებს და პოლიციის შენობას დაესხა თავს. ამ თავდასხმის პერიოდში მუჰამედ იუსუფი რამდენჯერმე დაკითხა სახელმწიფო უსაფრთხოების სერვისებმა, მაგრამ ის ყოველთვის აცხადებდა, რომ თავდასხმაზე პასუხისმგებელი პირები დიდი ხანია გამოეყვნენ მათ და მის სწავლებებს აღარ მიჰყვებოდნენ, შესაბამისად მათზე კონტროლიც არ ჰქონდა. (Guasau, 2009)

საინტერესოა იმაზე დაკვირვება, რომ მიუხედავად სამხედრო აქტივობების მიმართულებით მშვიდი პერიოდისა, ეს წლები დაჯგუფების ისტორიაში უმნიშვნელო სულაც არ ყოფილა თავად სექტის, მისი რეკრუტირების ზრდის, რესურსების მოზიდვის და იდეოლოგიის განვითარების მხრივ. არის დაუმტკიცებელი, მაგრამ გავრცელებული თეორიები იმასთან დაკავშირებით, რომ ბოკო ჰარამის რამდენიმე წევრი ამ პერიოდში პაკისტანში გაემგზავრა, რათა ალ კაიდასგან მიეღოთ დაფინანსება და ნიგერიაში ამერიკულ სამიზნეებზე თავდასმა განეხორციელებინათ. ასევე არის ბევრი საუბარი ბოკო ჰარამის სხვადასხვა წევრის სხვადსხვა ქვეყნებში გამგზავრებასა და კონკრეტულ მისიებზე. ერთ-ერთი მაგალითი არის ბოკო ჰარამის წევრი, აბდულრაშიდ აბუბაქრი, რომელმაც აღიარა, რომ იუსუფის თხოვნით სამი თვე გაატარა ავღანეთში, რათა ასაფეთქებელი საშუალებების სპეციალისტის წვრთნა მიეღო და ნიგერიაში დაბრუნების შემდეგ დაჯგუფების ხუთი სხვა წევრი თავად გაეწვრთნა. (BBC News Africa, 2009) ცნობილია, რომ ამ პერიოდში იუსფი თავადაც გადასახლებული იყო საუდის არაბეთში. როგორც ლოიმაიერი აღნიშნავს, იუსუფზე საკმაო გავლენა მოახდინა რამდენიმე საუდი მკვლევარმა, განსაკუთრებით კი ვაჰაბისტმა აბუბაქრ აბდალამ, რომლის ტექსტმაც al-madaris al-‘alamiyya al-ajnabiyya al-isti‘mariyya: ta’rikhuha wa-makhatiruha (სეკულარული, უცხოური და კოლონიალისტური სკოლები: მათი ისტორია და საფრთხეები) თეოლოგიური საფუძველი[1] მოუმზადა იუსუფის მიერ ევოლუციისა და დასავლური მეცნიერების უარყოფას და მათგან განდგომას. (Loimeier, Boko Haram: The development of a Militant Religious Movement in Nigeria, 2012)

ნიგერიაში დაბრუნების შემდეგ, იუსუფი საკმაოდ ღიად ქადაგებდა იობესა და ბორნოს შტატებში და 2007 წლისთვის უკვე საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავდა შემოკრებილი მისი მიმზიდველი რიტორიკითა და ულტრა-სალაფიტური პურიტანული და ანტი-ინოვაციური იდეოლოგიებით. ამ რეკრუტირების პერიოდში კარგად ჩანს, თუ როგორ იყენებს იუსუფი ქადაგებებისა და სოციალური წახალისების საშუალებების კომბინაციებს, როგორც ჩვეულებრივი ხალხის მოზიდვისა და მათთვის ბოკო ჰარამის რაობის გაცნობის გზებს. მან შეადგინა არაფორმალური სოციალური სისტემა, რომელიც მიკრო-საფინანსო გზებით

ეხმარებოდა მის მიმდევრებს პატარა ბიზნესების წამოწყებაში და ასევე გარიგებით ქორწინებებში - ამ გზებით ის თავის პოპულარობას ზრდიდა. შედეგად, ჩვეულებრივი მოსახლეობის უმეტესობამ იუსუფის დანახვა დაიწყო როგორც არა მხოლოდ მქადაგებლის, არამედ როგორც დამხმარე და უზრუნველმყოფელი პირის. ეს გრძელდებოდა 2009 წლამდე, როცა ბოკო ჰარამსა და ნიგერიის უსაფრთხოების ძალებს შორის ცნობილი მაიდუგურის ბრძოლა მოხდა.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ მის მიერ ახალგაზრდების მობილიზების უნარი დანახული იყო, როგორც გამოსადეგი პოლიტიკური იარაღი, განსაკუთრებით მაიდუგურში. როგორც იობეს, ისე ბორნოს შტატის გუბერნატორები დაკავშირებიან იუსუფს და მიუხედავად იმისა, რომ იუსუფს რაღაც დაბრკოლებები უშლიდა ხელს ბორნოს გუბერნატორთან, ალი მოდუ შერიფთან ურთიერთობისას, ამ უკანასკნელმა ბუჯუ ფოი, ბოკო ჰარამის წევრი დანიშნა ისლამური ურთიერთობების კომისრად 2007 წელს კომიტეტში, რომლის წევრიც თავად იუსუფიც იყო. ეს კომიტეტი წყვეტდა ვინ წავიდოდა ჰაჯზე, ან პილიგრიმად მექაში. (Integrated Regional Information Networks (IRIN), 2011) ეს, ალბათ, არის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ ახერხებდა სექტა, მიუხედავად ოფიციალურად სახელმწიფო ავტორიტეტის უარყოფისა, მოეხდინა გავლენა ლოკალურ პოლიტიკაზე მისი მზარდი პოპულარობის მეშვეობით. თუმცა ეს ურთიერთობა საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. სახელმწიფოს მარცხმა, შემოეღო ეფექტური მექანიზმი შარიათის კანონების დანერგვისთვის (ოფიციალურად მიიღეს 2000 წელს), გამოიწვია უთანხმოება და ფოისა და იუსუფის მათი პოლიტიკური პოზიციებიდან გადადგომა. (Philips, 2000)

2009 წელი - მნიშვნელოვანი შემობრუნება

მაშინდელი ბოკო ჰარამის წევრებისთვის, ისევე როგორც ამ მოძრაობის შემსწავლელებისთვის, 2009 წელი დაჯგუფების განვითარებაში მნიშვნელოვანი მომენტია, რაც დღემდე თვალსაჩინოა. [1] იუსუფის მკვლელობა, რამაც დაჯგუფება შურისძიებისთვის მწყურვალი დატოვა და რასაც მმართველობის შეცვლა მოჰყვა, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. აბუბაქრ შეკაუ, რომელიც რიგით მეორე იყო იერარქიულად, დაჯგუფების ლიდერი გახდა და შეცვალა მოძრაობის ბუნება, ამ დროიდან მოყოლებული ბოკო ჰარმმა აიღო უფრო ძალადობრივი და რადიკალური გეზი და გახდა სრულყოფილი ამბოხებული მხარე.

ამ ყველაფრის კარგად გასაგებად, მნიშვნელოვანია უკან დავბრუნდეთ და ვნახოთ სიმშვიდის და ნაკლები აქტივობის მდგომარეობიდან როგორ განვითარდა მოვლენები ასე სწრაფად და დრამატულად. აქ მნიშვნელოვანი მომენტია თუ რამ გამოიწვია 2009 წელს ბოკო ჰარამის „კვლავ აღმოცენება“, გააქტიურება.

2009 წლის პერიოდში დაძაბულობა უკვე საკმაოდ მომატებული იყო სექტის წევრებსა და "Operation Flush"-ის ოფიცრებს შორის. ეს ოპერაცია ერთი წლით ადრე დაიწყო ბორნოში და იყო პოლიციისა და სამხედროების საერთო ძალისხმევა ძარცვების აღმოსაფხვრელად. ასევე მათ დაევალათ ახალი კანონმდებლობის გატარება, რომელიც 2009 წელს შემოვიდა შტატში და შეეხებოდა მოტოციკლებზე ჩაფხუტების ტარებას. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავდა, რომ ამ ოპერაციის განმხორციელებლები შტატის ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩართულები. ამ კანონმა, რომელიც ერთი შეხედვით უბრალო რეგულაციაა, საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ბოკო ჰარამსა და უსაფრთხოების ძალებს შორის დაძაბულობის ესკალაციაში. როგორც ისა უმარ გუსაუ იხსენებს, უსაფრთხოების ძალები ატყობდნენ, რომ ბოკო ჰარამის წევრები სრულიად უგულვებელყოფდნენ ახალ კანონმდებლობას და ეს კიდევ ერთი გამოხატულება იყო იმისა, რომ დაჯგუფება არ აღიარებდა მთავრობის ავტორიტეტსა და ლეგიტიმაციას. ამ მიზეზით ამ ოპერაციის ოფიცრები და სხვა სამხედრო მოხელეები საკმაოდ მკაცრად ატარებდნენ ამ კანონს და ხშირად ართმევდნენ კიდევ მოტოციკლებს მათ, ვინც დაუმორჩილებლობას გამოხატავდა. ასეთი შემთხვევები ხშირად გადაიზრდებოდა დაპირისპირებებში და, როგორც ზემოთ უკვე ნახსენებია, ეს დაპირისპირებები ქმნიდა მუდმივი დაძაბულობის მდგომარეობას. (Guasau, 2009)

11 ივნისს, როდესაც ბოკო ჰარამის წევრები თავიანთი მოტოციკლებით პროცესიას მიჰყვებოდენ თავიანთი ერთ-ერთი წევრის დასაკრძალად, რომელიც ავტოკატასტროფაში დაიღუპა, ისინი პოლიციამ გააჩერა და მოსთხოვა ჩაფხუტების დაფარება. ამაზე უარი დაპირისპირებაში გადაიზარდა, რომლის დროსაც ბოკო ჰარამის 15-ზე მეტი წევრი დაშავდა და რამდენიმე მათგანი კლინიკაში გადაიყვანეს. არსებობს გავრცელებული აზრი, რომ აქ ამ პროცესიის შეჩერება ჩაფხუტების არქონამ კი არ გამოიწვია, არამედ პოლიციას ჰქონდა ანონიმური წყაროსგან მოწოდებული ინფორმაცია, რომ ისინი წრძალავდნენ წევრს, რომელიც თავად მოაკვლევინეს. (Mohammed, 2010) სამი დღის შემდეგ იუსუფმა საპასუხო ზომებთან დაკავშირებული მუქარა გააჟღერა:

რასაც მე ყოველთვის ვამბობდი იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება ჩვენ თავს გვესხმის, კიდევ ერთხელ გახდა ნათელი და ეს ფაქტი იყო ამის მანიფესტაცია... შესაბამისად ჩვენ არ შევეგუებით მსგავსი სახის დამცირებას და მზად ვართ ჩვენს ძმებთან ერთად მოვკვდეთ.

დეტალურ ქრონოლოგიაში ჩასვლის გარეშე, შემდეგ კვირებში გახშირდა ბოკო ჰარამის წევრების დაკავება, ამოიღეს იარაღი და ასაფეთქებელი საშუალებები, ასევე ამ პერიოდს დაემთხვა ბოკო ჰარამის ბომბების დამმზადებლის ჰასან სანი ბადამის სიკვდილი საკუთარ სახლში აფეთქებისას. უსაფრთხოების ძალები მედიის წინაშე საკმაოდ გამოსაჩენად ატარებდნენ დაპატიმრებულ წევრებს და დაძაბულობაც მატულობდა.

26 ივლისს კი საბოლოოდ ამოხეთქა ძალადობამ, როდესაც სექტის 60 წევრი თავს დაესხა ბაუჩიში პოლიციის განყოფილებას. ამ ინციდენტს დაახლოებით 50 ადამიანი ემსხვერპლა. პოლიცია საპასუხოდ თავს დაესხა დაჯგუფების ბაზას ბაუჩიში. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით სასმელი წყლის 5 ჭა იყო მოწამლული ციანიდითა და ფოსფორით - ქიმიკატებით, რომლებსაც ბოკო ჰარამი ასაფეთქებელ მოწყობილობებში იყენებდა. (Nairaland Forum, 2009)

მომდევნო დღეს არეულობა და ძალადობა უკვე ბორნოს, კანოს, იობესა და კაცინას შტატებშიც გავრცელდა, რამაც 100-ზე მეტი ადამიანის დაღუპვა გამოიწვია პოლიციის განყოფილებებსა და სამთავრობო შენობებზე თავდასხმებისას. ქაოსში, რომელიც ძალიან სწრაფად ვრცელდებოდა, ბოკო ჰარამმა მათი დაკავებული წევრების გათავისუფლება მოახერხა. სავარაუდო წევრების დაპატიმრება გრძელდებოდა კადუნას, სოკოტოსა და გომბეს შტატებში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიებზე ძალადობას და არეულობას ადგილი არ ჰქონია. (Mohammed, 2010)
პრეზიდენტ იარ'ადუას სპიკერმა ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, სადაც უსაფრთხოების ძალებს მოუწოდებდა არ დაეზოგათ ძალა „თავდასხმებში ჩართული ექსტრემისტული სექტის ლიდერებისა და წევრების იდენტიფიცირების, დაკავებისა და გასამართლებისთვის". საპრეზიდენტო განკარგულების გაცემიდან მომდევნო დღეს ასობით ჯარისკაცი, რამდენიმე მსუბუქად აღჭურვილი ტანკი და პოლიციის დანაყოფები შევიდნენ მაიდუგურიში ბოკო ჰარამის შტაბ-ბინის დასამხობად. მათი მთავარი მიზანი იყო დაებრუნებინათ კონტროლი მაიდუგურისა და ყველა იმ ქალაქზე, რომლებზეც ბოკო ჰარამს ჰქონდა კონტროლი დამყარებული 26 ივლისიდან მოყოლებული. ამავე დროს ძალადობრივმა დაპირისპირებებმა ათასობით ადგილობრივი აიძულა დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილები და თავშესაფარი ეძებნათ პოლიციისა და სამხედრო შენობებში, თუმცა ბევრმა ვერ მოახერხა გაღწევა ბოკო ჰარამის მიერ აგებული ბლოკადებისა და პუნქტების გამო და ბევრიც ორმხრივ სროლას შეეწირა. სამდღიან ინტენსიურ დაპირისპირებას მოჰყვა ბოკო ჰარამის დაახლოებით 700-800 წევრის სიკვდილი, მათ შორის დაჯგუფებისერთ-ერთი მთავარი დამფინანსებლის, ბუჯი ფოისა დაიუსუფის სიმამრის, 72 წლის ბაბა ფუგუ მუჰამედის. ბევრი დააკავეს. მათ შორის 30 ივლისს მუჰამედ იუსუფი და მისი თანაშემწე აბუბაქრ შეკაუ. იბნ თაიმია მასჯიდი - სპეციალურად იუსუფის მიმდევრებისთვის მაიდუგურიში დაფუძნებული მეჩეთიც განადგურდა ამ დაპირისპირებაში, რასაც მაიდუგურის ბრძოლა ეწოდა.

იუსუფის სიკვდილი და მისი ბოლო ინტერვიუ

კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდა სინამდვილეში, რა გარემოებებში გარდაიცვალა ბოკო ჰარამის ლიდერი, დღემდე პასუხგაუცემელი რჩება. არის ოფიციალური ვერსია, რომლის მიხედვითაც იუსუფმა სცადა გაქცევა, როდესაც ესროლეს და ამის შედეგად გარდაიცვალა. შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავების შემდეგ იუსუფი პოლიციაში გადაიყვანეს დასაკითხად სრულიად უვნებლად, შემდეგ კი უკვე დაიწყო ჭორების, ფოტოსურათებისა და

ვიდეოების გავრცელება. ზოგიერთი მათგანი დაკითხვის პროცესს აღწერდა, ასევე ზოგი აჩვენებდა იუსუფის ტყვიებით დაცხრილულსხეულს. ნიუ იორკში არსებულმა ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციამ ამ მოვლენას შოკისმომგვრელი არასასამართლო წესით ჩადენილი მკვლელობა უწოდა. (NEWS WIRES, 2009) ბევრი თვითმხილველი იხსენებს, რომ ამ პერიოდში საშინელი ქაოსი სუფევდა, პოლიციელებიც ძალიან გაბრაზებულები იყვნენ, რადგან ბევრი წევრი დაკარგეს და ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო. იუსუფის მკვლელობა ერთადერთი სასამართლო წესით გადაწვეტის გარეშე ჩადენილი მკვლელობა არ ყოფილა. ალ ჯაზირას მიერ 2010 წლის თებერვალში გავრცელებული ვიდეო, რომლის პოვნა ახლაცაა შესაძლებელი ინტერნეტში ნათლად აჩვენებს სავარაუდო ბოკო ჰარამის წევრებს და მათ შორის, დიდი ალბათობით, ბევრ უდანაშაულო მოქალაქეს როგორ აწვენენ არმიის სამხედრო ოფიცრები მიწაზე და როგორ ესვრიან. ამავე ვიდეოში ჩანს იუსუფის სხეული სრულიად სისხლში დაფარული ხელბორკილებით. (Al Jazeera, 2010) ამ ყველაფერს გადაურჩა შეკაუ, რომელიც ამბობდა, რომ „ნამდვილმა მუსლიმმა“ გაათავისუფლა დაკავების შემდეგ.

სანამ სამხედროები იუსუფს პოლიციას გადასცემდნენ, არსებობს მასთან ჩაწერილი ვიდეო ინტერვიუ, რომელიც ჰაუსაზეა, თუმცა არსებობს ინგლისური ტრანსკრიპიც. ამ 5 წუთსა და 43 წამში ძალიან ბევრი რამის დანახვა შეიძლება იმასთან დაკავშირებით, თუ რისი სჯეროდა იუსუფს და რა მიზნისთვის იბრძოდა ის.

იხ. დანართი 1

იუსუფის შემდეგ - შეკაუს პერიოდი

2009 წლის აგვისტოდან 2010 წლის აპრილამდე დაჯგუფება ფაქტობრივად გამქრალად ითვლებოდა, რადგან ამდენი წევრის მოკვლის, დაპატიმრების ან მეზობელ ქვეყნებში გაქცევის შემდეგ დანაკარგი ძალიან დიდი იყო. არსებობს უამრავი თეორია, თუ რა ხდებოდა ამ პერიოდში, არის ვერსიები, რომ სექტა გაიყო სამ ნაწილად და სამი სხვადასხვა ადამიანი მართავდა, თუმცა ეს რამდენიმე თვე და თუ რა ხდებოდა სინამდვილეში არაა გადამწყვეტად მნიშვნელოვანი იმის ბოკო ჰარამისა და მისი განვითარების გასაგებად.

2010 წლის აპრილში აბუბაქრ შეკაუმ თავისი ლიდერობით დაჯგუფების დაბრუნება ვიდეოთი დააანონსა. მის მიერ სათავეში მოსვლით ბოკო ჰარამის ისტორიაში დაიწყო ახალი, მეტად ძალადობრივი პერიოდი. აქ ხაზგასასმელია, რომ მიუხედავად იმისა, რომ იუსუფი უფრო ხასიათდებოდა როგორც მქადაგებელი, ის ძალადობას მეტად უჭერდა მხარს, ვიდრე ეს ხშირად იყო წარმოჩენილი. ბევრი ფიქრობს, რომ ის იდეალურ დროს ელოდებოდა მეტად რადიკალური კამპანიის ჩასაშვებად.

რადიკალური შემოტრიალება შეკაუს მმართველობის ქვეშ სავსებით მოსალოდნელი იყო მისი პიროვნებიდან გამომდინარე, რომელიც სრულ კონტრასტში მოდიოდა იუსუფთან. ვინც მას ხვდებოდა აღწერდა როგორც ტლანქ, უხეშ პიროვნებას, რომელიც დიდი რაოდენობით ჰაშიშს მოიხმარდა და „მისი მეტად ეშინოდათ, ვიდრე იუსუფის“, როგორც იხსენებს ერთ-ერთი იმ მცირე რაოდენობის ჟურნალისტთაგან, ვისაც ბოკო ჰარამის წევრებთან პირდაპირი წვდომა ჰქონია, აჰმად სალკიდა. ვირჯინია კომოლი თავის წიგნში აღწერს ანონიმურ წყაროსთან ინტერვიუს, სადაც ერთ-ერთი ჟურნალისტი, რომელიც იუსუფის სახლში რამდენჯერმე არის ნამყოფი მას აღწერს, როგორც „რბილად მოსაუბრე, თავშეკავებული, უპრეტენზიო“. ის ირწმუნებოდა, რომ არანაირი კავშირი არ ჰქონდა ავღანურ თალიბანთან, თუმცა ის მხარს უჭერდა მათ მიზანს და ეზინააღმდეგებოდა მთავრობას. თალიბანით მისი აღფრთოვანება იმდენად ცნობილი იყო, რომ მისი მიმდევრების რაღაც ნაწილი მას „იუსუფ თალიბანად“ მოიხდენიებდა.

ბევრი სხვადასხვა წყაროდანაა ცობილი, რომ შეკაუ თავდადებული თეოლოგიის სტუდენტი იყო, რომელიც მაიდუგურიში 1990 წელს გადავიდა და დასახლდა ადგილობრივ სასულიერო პირთან. მოგვიანებით მისი ერთ-ერთი ქალიშვილი შეირთო ცოლად, რომელიც მშობიარობას გადაჰყვა. ზემოთნახსენებ ანონიმურ ინტერვიუში ნახსენებია, რომ ვარაუდობენ, რომ ამ მოვლენამ მის ფსიქიკაზე სერიოზული გავლენა მოახდინა: ისეთი აგრესიული გახდა, რომ მისი დაბმაც კი მოუწიათ. მოგვიანებით, იუსუფის გარდაცვალების შემდეგ მისი ოთხი ცოლიდან ერთ-ერთზე დაქორწინდა და მისი შვილები იშვილა. (BBC News, 2014) შეკაუმ იუსუფი 1990-იან წლებში გაიცნო და ეჭვგარეშეა, რომ მათ შორის, ყოველთვის შეკაუს ჰქონდა ბევრად რადიკალური აზრები და რწმენები. ის აკრიტიკებდა კიდეც იუსუფს იმის გამო, რომ ზედმეტად „ლიბერალი“ იყო. მისი ექსტრემისტული ხედვები რამდენჯერმე ნათლად გამოჩნდა ბოკო ჰარამის სახელით გამოქვეყნებულ ვიდეოებსა და მიმართვებში. ერთ-ერთ ცნობილ მიმართვაში, რომელიც 2012 წელს კანოში 180 ადამიანის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა, შეკაუ ამბობს „მსიამოვნებს მათი მოკვლა, ვის მოკვლასაც ღმერთი მიბრძანებს, ისევე, როგორც მსიამოვნებს ქათმებისა და ცხვრების მოკვლა.“ წლების განმავლობაში ნიგერიის უსაფრთხოების ძალებმა რამდენჯერმე გამოაცხადა შეკაუ მკვდრად, რასაც მოჰყვა მის მიერ ვიდეო ან აუდიო ჩანაწერების გამოქვეყნება, სადაც დასცინოდა მთავრობას.

2010 წლის ბოკო ჰარამის ამბოხების აღორძინების შემდეგ მომხდარი თავდასხმების, გატაცებების, ციხიდან გაქცევების და ა.შ. შესახებ ინტერნეტში მარტივად მოიპოვება ინფორმაცია, პრესამ მეტად დაიწყო მოვლენების გაშუქება. ვინაიდან და რადგანაც კონკრეტული თავდახმების ჩამონათვალი მოგვიანებით ცალკეც იქნება გამოტანილი, აქ განხილული იქნება მეტად თემატური განვითარებები და ნაკლებად ქრონოლოგიური.

როგორც იუსუფთან, შეკაუსთანაც ნათლად ვხვდებით დასავლური ღირებულებებისა და დემოკრატიის უარყოფას და ფუნდამენტალიზმთან ერთად, ესაა ერთი ელემენტი, რაც დაჯგუფების მახასიათებლად რჩება მთელი ისტორიის განმავლობაში. სწორედ ამ კონტექსტში ჯდება ბოკო ჰარამის მიერ განხორციელებული თავდასხმები პოლიტიკურ მიტინგებზე (მარტი 2011), საარჩევნო შტაბებზე (აპრილი 2011), მაიდუგურის დამოუკიდებელი ეროვნული ელექტორალური კომიისიის აფეთქება (აპრილი 2011) და სხვადასხვა პოლიტიკური ფიგურებისა და კანდიდატების მკვლელობა. (Thurston A. , 2011) დაჯგუფების მიერ დემოკრატია აღქმულია, როგორც უცხოეთიდან შემოსული თაღლითობა და ღმერთის სუვერენულობის გამოწვევა.

როდესაც ბოკო ჰარამი მაიდუგურიში კვლავ გამოჩნდა 2010 წლიდან, ხშირი იყო მიზნობრივი მკვლელობები, რომლებსაც ძირითადად მოტოციკლებით ახორციელებდნენ. ასევე, მოძრავი ტრანსპორტიდან სროლასთან ერთად ხშირი იყო აფეთქებები, შეიარაღებული თავდასხმები და სხვა ტიპის მკვლელობები. 2011 წელს სამიზნეები გასცდა მანამდე ხშირად მიზანში ამოღებულ პოლიციის სადგურებსა და სამხედრო ბანაკებს. სკოლები (დასავლური განათლების გავცელების წყაროები), საავადმყოფოები, ბარები, მუსლიმი სასულიერო პირები, რომლებიც სექტის გაკრიტიკებას ბედავდნენ, მეჩეთები, სოფლის ადგილობრივი მოურავები, ბაზრები და ჩვეულებრივი მოქალაქეებიც - ყველა გახდა ბოკო ჰარამის ლეგიტიმური სამიზნე. იყო შემთხვევები, როცა, მაგალითად, ფარმაცევტს ესროლეს მაიდუგურიში და მისი აფთიაქიდან ფული და წამლები მოიპარეს. (Walker, What is Boko Haram?, 2012) ასევე გაფართოვდა მოქმედების არეალიც. თუკი მანამდე თავდასხმები ძირითადად იობეს და ბორნოს შტატებში ხდებოდა, ახლა უკვე ბაუჩის, ადამავის, კადუნას, ნიგერის, პლატოს, აბუჯას, კატსინის შტატებმაც გამოსცადეს ძალადობის ბევრი სხვადასხვა ფორმა, რაც შემდეგ უკვე 2012 წელს გავრცელდა კანოს, ჯიგავის, გომბეს, ტარაბის და სოკოტოს და კოგის შტატებშიც კი. ეს ბოლო განსაკუთრებით საინტერესო და საგუისხმოა, რადგან აქ კარგად ჩანს დაჯგუფების უნარი, ისეთ ადგილებშიც კი მოეხერხებინათ თავდასხმების განხორციელება, სადაც ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ ეპოვნათ მხარდაჭერა, სადაც მაცხოვრებლების ეთნიკური შემადგენლობა ძალიან განსხვავდებოდა ბორნოს და სხვა ჩრდილოური შტატებისგან. კოგის შტატში განხორციელებული თავდასხმები იყო უკიდურესი სამხრეთი წერტილი, სადამდეც ბოკო ჰარამი ჩამოვიდა. 2013 წელს ბოკო ჰარამის რამდენიმე წევრი დააკავეს ლაგოსში, რომელიც ნიგერიის ფინანსური ცენტრია. ასევე 2013 წლის გაზაფხულზე გამოაშკარავდა და ჩაიშალა ლაგოსის საერთაშორისო აეროპორტზე თავდასხმის გეგმა.

იუსუფის შემდგომი პერიოდის დასაწყისში დაჯგუფებისთვის დამახასიათებელი გახდა ციხიდან გაქცევები. ეს ყველაფერი დაიწყო ბაუჩის ციხეზე თავდასხმით 2010 წლის 7 სექტემბერს, როცა 700-ზე მეტი პატიმარი გაათავისუფლეს, მათ შორის 100-ზე მეტი ბოკო ჰარამის წევრი. (Sani S. M., 2011) მსგავსი ინციდენტები განმეორდა სხვა შტატებშიც, მათ შორის ადამავის (2011), იობეს (2012) და ბორნოს (2013) ციხეებში.

ასევე თავდასხმის სამიზნეებად იქცა ეკლესიები 2010 წლიდან მოყოლებული და ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება. აშშ-ს საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების კომისიამ 2013 წლის აგვისტოში გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც ხაზს უსვამდა ბოკო ჰარამის მიერ რელიგიურად მიზანში ამოღებულ მკვლელობებსა და თავდასხმებს. ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2012 წლის იანვრიდან მოყოლებული თავდასხმებში შედიოდა „თავდასხმა 50 ეკლესიაზე, რომელთაგანაც ზოგი ააფეთქეს, დაწვეს ან თავს დაესხნენ, რასაც შეეწირა 266 ადამიანი; 31 ცალკეულ თავდასხმას ქრისტიანებზე, ან სამხრეთელებზე, რომლებიც ქრისტიანები ეგონათ შეეწირა 166 ადამიანი; 23 გამიზნულ თავდასხმებს სასულიერო პირებზე, ან მაღალი რანგის მუსლიმ ფიგურებზე, რომლებიც ბოკო ჰარამს კრიტიკულად უყურებდნენ, სულ მცირე 60 ადამიანი შეეწირა; 21 თავდასხმას „არაისლამურ“ ინსტიტუციებზე ან ადამიანებზე, რომლებიც „არაისლამურ“ ქმედებებში იყვნენ შემჩნეულები შეეწირა სულ მცირე 74 ადამიანი.“ (The U.S. Commission on International Religious Freedom, 2013) ყველაზე ცნობილი თავდასხმები ხორციელდებოდა შობის დღესასწაულის პერიოდში, როგორებიცაა, მაგალითად, რამდენიმე

თავდასხმა ჯოსში, პლატოს შტატის დედაქალაქში შობის საღამოს 2010 წელს, რასაც მოჰყვა მსგავსი ინციდენტები, რომლებიც მოიცავდა მრავლობით აფეთქებებს, რომლებიც მიზანში იღებდა მლოცველებს აბუჯაში, ჯოსში და იობეს შტატში 2011 წელს და იობესა და ბორნოში 2012 წელს. 2011 წლის 25 დეკემბერს ნიგერის შტატში წმინდა ტერეზას კათოლიკურ ეკლესიაზე თავდასხმის უკან მყოფი კაბირუ უმარი, რომელიც ასევე ცნობილია როგორც კაბირუ სოკოტო, წარსდგა დღემდე ერთ-ერთ ყველაზე ფართომასშტაბიან ბოკო ჰარამის სასამართლოზე. 2013 წლის დეკემბერს მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. (Punch Newspaper, 2013)

ანსარუ

ბოკო ჰარამი არ არის ერთგვაროვანი მოძრაობა და ეს განსაკუთრებით ჩანს იუსუფის შემდგომ პერიოდში, არსებობდა დანაყოფები. ამის ყველაზე ნათელი და შემაშფოთებელი მაგალითია ჯამა'ატუ ანსარილ მუსლიმინა ფი ბილადის სუდანი [მუსლიმების მხარდამჭერები შავ აფრიკაში], რომელსაც ჩვეულებრივ უწოდებენ ანსარუს.

2012 წლის 20 იანვარს კანოში განხორციელებული ცნობილი თავდასხმის შემდეგ, რომელსაც 200 ადამიანი შეეწირა, რომელთა უმეტესობაც ჩვეულებრივი მოქალაქე იყო, ახალმა დაჯგუფებამ გამოაქვეყნა განცხადება 26 იანვარს, სადაც დაგმეს მუსლიმების მკვლელობა, ამ აქტებს უწოდეს „არაჰუმანური“ და ფორმალურად გამოაცხადეს თავისი არსებობის შესახებ:

მოხარულები ვართ, რომ პირველად ვაცნობოთ საზოგადოებას ამ ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ, რომელსაც გააჩნია ჭეშმარიტი ფუნდამენტი. ჩვენ მიუკერძოებლად შევხედავთ ყველაფერს, რათა წავახალისოთ ის, რაც კარგია და ვიზრუნოთ მის გავრცელებაზე და დავაბრკოლოთ ბოროტება და ვეცადოთ მის აღმოფხვრას. (Sahara Reporters, 2012)

იმავე წლის ივნისში, ჯგუფის ლიდერმა, აბუ უსამატულ ანსარმა (იგივე აბუ უსსამატა ალ-ანსარი - სავარაუდოდ ხალიდ ალ-ბარნავის ფსევდონიმი) გამოაქვეყნა ვიდეო არაბულ ენაზე, რომელიც ჰაუსასა და ინგლისურზე იყო ნათარგმნი. ამ ვიდეოში ის ამბობდა, რომ „ისლამი კრძალავს უდანაშაულო ადამიანების მკვლელობას, მათ შორის არამუსლიმებისაც. ეს არის ჩვენი რწმენა და ჩვენ ამას მივყვებით.“ მან დაგმო „უდანაშაულო უსაფრთხოების პერსონალის“ მკვლელობა, თუმცა დაადასტურა ანსარუს მზაობა ებრძოლა „ნებისმიერი რელიგიის ჯგუფთან, რომელიც ისლამსა და მუსლიმებს თავს დაესხმოდა“. (LJW Staff, 2012)

ბოკო ჰარამსა და ანსარუს შორის უთანხმოების ელემენტები ნათლად ჩანს ისეთ რაღაცებში, როგორიცაა სახელი, რომელიც ხაზს უსვამს მუსლიმების დახმარებას „შავ აფრიკაში“ და არა მხოლოდ ნიგერიაში და ასევე კრიტიკა, ბოკო ჰარამის მიერ მსხვერპლების განურჩევლად შერჩევასთან დაკავშირებით.

2009 წლის შემდეგ ბოკო ჰარამის უამრავი მებრძოლი გაიქცა ალჟირში, ნიგერში, მალში, ჩადში, სომალში, სუდანსა და ავღანეთში. ამ გამოცდილებამ და განსაკუთრებით კი AQIM-თან (ალ-კაიდა ისლამურ მაღრებში) ურთიერთობამ დააკავშირა ეს მებრძოლები გლობალური ჯიჰადის კონცეპტთან და მეტად ჩამოყალიბებულ იდეოლოგიასთან. ნიგერიაში დაბრუნების შემდეგ მათ, ვისაც AQIM-თან ჰქონდა გავლილი წვრთნა ალჟირში, ჰქონდათ კოდური სახელი „იან საჰარა“, რაც ჰაუსაზე ნიშნავს „საჰარას კაცს“. ესენი იყვნენ მებრძოლები, რომელთაც დაიწყეს იმის გააზრება, რომ მოძრაობას, რომლის წევრებიც თავად იყვნენ სათავეში ედგა „შეშლილი კაცი“ და თუკი სურდათ წარმატებისთვის მიეღწიათ, მეტად დახვეწილი მიდგომა უნდა შეემუშვებინათ. (Anonymous, 2013) ერთ-ერთი მათგანი იყო ადამ კამბარი, რომელიც შემდგომში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გლობალურ ტერორისტად გამოაცხადა 2012 წლის ივნისში. კამბარი უნდა ყოფილიყო ანსარუს ლიდერი, თუმცა მისმა სიკვდილმა კანოში 2012 წლის 15 აგვისტოს განხორციელებული რეიდისას, ლიდერობის ხელში ჩაგდების შესაძლებლობა მისცა კიდევ ერთ AQIM-თან დაკავშირებულ და აშშ-ს მიერ ტერორისტად გამოცხადებულ პირს, ხალიდ ალ-ბარნავის. ბევრი მოსაზრება არსებობს, რომ სწორედ ბარნავი იყო ჩართული ბრიტანელი მკვლევარის, კრის მაკმანუს და იტალიელი ინჟინერის ფრანკო ლამოლინარას გატაცებაში 2011 წლის მაისში. (Holehouse, 2012) ამ მოვლენამ ბევრი გააკვირვა, რადგან ბოკო ჰარამს არასდროს გაუტაცებია უცხოელები და ასევე ეს შემთხვევა მოხდა ჩრდილო-დასავლეთ შტატში,სადაც ბოკო ჰარამი არ მოქმედებდა. 2011 წლის დეკემბერში ჯგუფმა, რომელიც თავის თავს უწოდებდა „ალ-კაიდა საჰელის მიღმა მიწებზე“ აიღო თავის თავზე გატაცება. სამწუხაროდ ორივე მძევალი მოკლეს ჩაშლილი სამაშველო ოპერაციისას 2012 წლის მარტში. მოგვიანებით ბრიტანეთის მთავრობამ ანსარუ უცხოურ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა მისი ალ-კაიდასთან კავშირის გამო და ასევე რადგან სჯეროდათ, რომ ის იყო პასუხისმგებელი გატაცებული უცხოელების მკვლელობაზე. (Abbas, 2012) ანსარუმ რამდენიმე თავდასხმა განახორციელა უცხოელებზე ჩრდილოეთ ნიგერიის და მისი მეზობლების ტერიტორიაზე 2013-2014 წლებში. ანსარუს 2014 წლიდან 2016 წლამდე არც ერთ თავდასხმაზე არ აუღია ოფიციალურად პასუხისმგებლობა. 2016 წლის 4 აპრილს ნიგერიის არმიამ გამოაცხადა ანსარუს ლიდერის, ხალიდ ალ-ბარნავის დაკავება. (United States Department of State, 2017)

ომი ჩრდილო-აღმოსავლეთ ნიგერიაში

2013 წელს ბოკო ჰარამთან დაკავშირებული კონფლიქტმა ფორმა იცვალა. დაჯგუფება კვლავ ახორციელებდა ტერორისტულ აქტებს, თუმცა მათ ასევე ღიად დაიწყეს ტერიტორიული კონტროლის მოხვეჭაზე ზრუნვა და ნიგერიის სამხედრო ძალებთან ღია ბრძოლაში ერთვებოდნენ. მოვლენების ამგვარად განვითარებაზე რამდენიმე ფაქტორმა მოახდინა განსაკუთებული გავლენა. პირველ რიგში ეს იყო ნიგერიის სამხედროების მხრიდან გაძლიერებული კამპანია ბოკო ჰარამის წინააღმდეგ, რაც გულისხმობდა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, აქტიურ შეტევებს დ ა.შ. გაჩნდა კითხვები, ყოველთვის სურდა ბოკო ჰარამს ტერიტორიული კონტროლი თუ ეს იყო ერთგვარი თვითგადარჩენის ფორმა. რაც არ უნდა ყოფილიყო ამგვარი განვითარების მიზეზი, შედეგი ნათელად იყო სრულმაშტაბიანი ომი.

2013 წლის გაზაფხულზე ბოკო ჰარამმა დაორგანიზა ციხიდან გაქცევები, როცა მათ 300-ზე მეტი პატიმარი გაათავისუფლეს. ბოკო ჰარამმა განსაკუთრებული საერთაშორისო ყურადღება მიიპყრო 2014 წლის აპრილში ჩიბოკის სკოლიდან 300 გოგონას გატაცებით. მათგან მხოლოდ 50-მა მოახერხა მალევე გამოქცეულიყო. სხვადასხვა სოციალურ მედია პლატფორმებზე გავრცელდა კამპანიები #BringBackOurGirls (დააბრუნეთ ჩვენი გოგონები), რათა მეტი წნეხი განეხორციელებინათ ნიგერიის მთავრობაზე, რომ ემოქმედა უფრო აქტიურად. 2014 წლის ოქტომბერში მთავრობამ განაცხადა, რომ ბოკო ჰარამთან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება შედგა და რომ გატაცებული მოსწავლეები მალე გათავისუფლდებოდნენ. თუმცა ამ განცხადებიდან ორი კვირის შემდეგ ბოკო ჰარამმა გაავრცელა ვიდეო, სადაც შეკაუ უარყოფდა ცეცხლის შეწყვეტას და ამბობდა, რომ გატაცებული გოგონები უკვე მოექცნენ ისლამზე და დაქორწინდნენ ბოკო ჰარამის წევრებზე. ამ შემთხვევის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაზარდა კონტრტერორისტული რესურსები ნიგერიის სამართალდამცავი სააგენტოების მიმართ. 2018 წლის დასაწყისში 106 გოგონა გათავისუფლდა. ნიგერიის მთავრობამ მოილაპარაკა წითელი ჯვრის თანამშრომლობით მათი გათავისუფლება ბოკო ჰარამის მებრძოლების სანაცვლოდ. მას შემდეგ რამდენიმე გოგონამ მოახერხა გამოქცევა. 2021 წლის აპრილის მონაცემებით 112 გოგონა კვლავ არ დაბრუნებულა.

2015 წლის იანვარში ბოკო ჰარამმა მასობრივი თავდასხმები განახორციელა ბორნოს შტატის სოფლებზე და ამ ტერიტორიაზე კონტროლი ხელში ჩაიგდო. ადგილობრივი ოფიციალური პირების ინფორმაციით 2000-მდე ადამიანი შეეწირა ამ თავდასხმებს. რამდენიმე კვირის შემდეგ მებრძოლებმა სცადეს მაიდუგურიზე თავდასხმა, რომელიც ბორნოს შტატის დედაქალაქია, თუმცა სამხედროებმა მოახერხეს მათი შეკავება. საგარეო ურთიერთობათა საბჭოს დასკვნის მიხედვით 2015 წლის აგვისტოსთვის ბოკო ჰარამის მიერ განხორციელებული ძალადობის მიზეზით მოკლული იყო 16 000 ადამიანი, ხოლო 2.5 მილიონი - იძულებით გადაადგილებული. (Smith, 2016)

გაზრდილი საფრთხის საპასუხოდ აფრიკის ერთობის ორგანიზაციამ შექმნა სამხედრო კოალიცია, რათა შეეკავებინა და შეემცირებინა ბოკო ჰარამის აქტივობები ნიგერიაში. მათ შეცვალეს მრავალეროვნული გაერთიანებული ძალების (MNJTF) მანდატი, რათა კონტრ-ტერორისტულ ოპერაციებს გაწვდომოდა და გაზარდეს მისი დაფინანსება. ჩადი, ნიგერია, კამერუნი, ნიგერი და ბენინი გზავნიდნენ სამხედროებს ამ ჯგუფთან შესაერთებლად. კოალიციის მიზანი იყო დაეცვა ნიგერიის საზღვარი და ჩადის ტბის რეგიონი, თუმცა არ მიეღო მონაწილეობა ნიგერიის კონფლიქტში. ბოკო ჰარამის წინააღმდეგ შეტევა დაიწყო 2015 წლის 6 მარტს ჩადის და ნიგერიის საჰაერო თავდასხმებით, რომელმაც ბოკო ჰარამს აიძულა დაეტოვებინა ათეულობით ქალაქი თუ სოფელი ჩრდილოეთ ნიგერიაში. ჩადის მონაწილეობის გამო ბოკო ჰარამმა დაიწყო ჩადის აუზის რეგიონის მიზანში ამოღება. ისინი წვავდნენ სახლებს, იტაცებდნენ ადგილობრივებს, თუმცა ჩადის სამხედრო რაზმმა უკან დაახევინა.

2015 წლის 7 თებერვალ ნიგერიის დამოუკიდებელმა ეროვნულმა საარჩევნო კომისიამ განაცხადა, რომ ეროვნული არჩევნები გადაიდებოდა 6 კვირით რათა უსაფრთხოების ძალებს განეხორციელებინათ შეტევა ბოკო ჰარამის მიერ დაკავებული ტერიტორიების დაბრუნების მიზნით. (Nossiter, 2015) ამ პერიოდში ბოკო ჰარამი დაახლოებით 50 000 კვადრატული კილომეტრის ტერიტორიაზე ფლობდა კონტროლს ჩრდილოეთ ნიგერიაში. სამოქალაქო პირებზე თავდასხმები გრძელდებოდა, მათ შორის ჩადისა და კამერუნის საზღვრების გასწვრივ. 28 მარტს, როცა ნიგერიაში არჩევნები ტარდებოდა, ბოკო ჰარამმა 41 ადამიანი მოკლა ხმის მიცემის შეფერხების მცდელობებში.

ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა ბოკო ჰარამის ისტორიაში იყო 2015 წლის მარტის დასაწყისში ბოკო ჰარამის მიერ დაეშისთვის ერთგულების ფიცის მიცემა შეკაუს აუდიო შეტყობინებაში, რომელიც გავრცელდა ინტერნეტ სივრცეში. (BBC News, 2015) ცნობების თანახმად, ბოკო ჰარამის მებრძოლები მიემგზავრებოდნენ დაეშის სამხედრო ბანაკებში წვრთნების გასავლელად. როდესაც დაეშმა მიიღო ბოკო ჰარამის ერთგულების ფიცი მარტის ბოლოს, მათ ბოკო ჰარამი მოიხსენიეს როგორც ისლამური სახელმწიფოს დასავლეთ აფრიკის პროვინცია (ISWAP) და ეს სახელწოდება ხშირად ჩნდებოდა დაეშთან დაკავშირებულ სოციალური მედიის გვერდებზე. დაეშმა ასევე მოუწოდა მუსლიმებს, შეერთებოდნენ ბოკო ჰარამს და სხვა დასავლეთ აფრიკულ სამხედრო დაჯგუფებებს. (BBC News, 2015) ზოგიერთი ანალიტიკოსი ამბობდა, რომ ბოკო ჰარამის მიერ ისლამურ სახელმწიფოსთან შეერთება იყო მათი მხრიდან სასოწარკვეთილი მცდელობა აემაღლებინათ მათი წევრების მოტივაცია და მოეპოვებინათ ადგილობრივი მხარდაჭერა მას შემდეგ, რაც კოალიციის დარტყმებმა დაასუსტა და ტყეებში დამალვა აიძულა. 2015 წლის აპრილში ნიგერიის მთავრობა ბოკო ჰარამის წინააღმდეგ წარმოებულ შეტევას უკვე ბოლო ეტაპზე მყოფად განიხილავდა, რადგან ბოკო ჰარამი უკვე აღარ აკონტროლებდა არცერთ ქალაქს და კოალიციის ძალები უკვე სამბისას ტყეს აქცევდნენ ალყაში.

დიდი გაყოფა

მიუხედავად იმისა, რომ ბოკო ჰარამი გააძევეს თავიანთი სიმაგრეებიდან, ისინი მაინც აგრძელებდნენ ოპერაციებს, მათ შორის ხშირი იყო სუიციდური თავდასხმები სამოქალაქო, პოლიციისა და სამთავრობო სამიზნეებზე ნიგერიის მასშტაბით. 2016 წლის მარტში ბოკო ჰარამის მებრძოლები დაეშისთვის იბრძოდნენ ლიბიაში. 2016 წლის 3 აგვისტოს ისლამურმა სახელმწიფომ განაცხადა, რომ აბუ მუსაბ ალ-ბარნავი, ბოკო ჰარამის დამფუძნებლის მუჰამედ იუსუფის ვაჟი გახდებოდა დაჯგუფების ლიდერი. ორი დღის შემდეგ შეკაუმ საპასუხოდ განაცხადა, რომ ბარნავის მხარდამჭერები ახდენდნენ დაეშის ლიდერების მანიპულაციას, რათა გაეძევებინათ ერთგვარი გადატრიალების მსგავსად და თქვა, რომ ის და მისი მხარდამჭერები არ გაჰყვებოდნენ ბარნავის. აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ მიიღო წერილები ალ-ბარნავისგან, სადაც ის აპროტესტებდა შეკაუს დესპოტურ ხასიათს, მის იდეოლოგიურ ექსტრემიზმს და სუსტ ოპერაციულ უნარებს. შედეგად 2016 წელს ბოკო ჰარამი ორ ჯგუფად გაიყო: Jama’atu Ahlis Sunna Lidda’adati wal-Jihad (JAS), რომელსაც მართავდა აბუბაქრ შეკაუ და ისლამური სახელმწიფოს დასავლეთ აფრიკის პროვინცია (ISWAP), რომელსაც მართავდა აბუ მუსაბ ალ ბარნავი. მედია ამ ჯფუგებს მაინც მოიხსენიებს, როგორც ბოკო ჰარამის ორ დანაყოფს.

JAS-ი ხასიათდება მეტად ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით და აგრძელებს სისტემატიურ თავდასხმებს როგორც მუსლიმებზე, ისე ქრისტიანებზე. ნებისმიერი, ვინც მხარს არ უჭერს დაჯგუფების ქმედებებს, აღქმულია მთავრობის მხარდამჭერად და შესაძლოა სამიზნედ იქცეს. ეს დანაყოფი აქტიურია კამერუნის საზღვართან და ბორნოს შტატის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილში.

ISWAP-ი აკრიტიკებს ჩვეულებრივ მუსლიმებზე თავდასხმას და მეტად იღებს მიზანში ქრისტიანებს და პირებს, რომლებიც არ ემორჩილებიან შარიათის კანონებს. 2016 წლის გაყოფის შემდეგ ISWAP-ი ახორციელებდა შედარებით იშვიათი ხასიათის, თუმცა უფრო დიდი მასშტაბის თავდასხმებს სამხედრო სამიზნეებზე. ეს დანაყოფი მეტად აქტიურობდა ნიგერის საზღვრის სიახლოვეს, დამბოას ჩრდილოეთ და დასავლეთ მხარეებში და იობეს შტატში.

2016 წლის ბოლოს და 2017 წლის დასაწყისში ბოკო ჰარამის მიერ განხორციელებული თავდასხმები შესამჩნევლად შემცირდა, თუმცა მალევე გაიზარდა აქტივობა. 2017 წლის აპრილიდან სექტემბრამდე მათი მსხვერპლის რაოდენობა იყო დაახლოებით 400. დაჯგუფება აქტიური იყო ჩრდილო-აღმოსავლეთ ნიგერიაში. იყენებდნენ სუიციდურ თავდახმებს ბაზრებზე, უნივერსიტეტებზე და ბანაკებზე, არბევდნენ სოფლებს. დიდი მასშტაბის თავდასხმების უმეტესობა ბარნავის მიეწერებოდა, როგორიცაა მაგალითად 2017 წლის თავდასხმა ნიგერიის ეროვნული პეტროლეუმის კორპორაციის ნავთობმაძიებელთა გუნდზე და ბორნოში ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენა. ბოკო ჰარამის 2017 წლის ესკალაცია მიეწერება MNJTF-დან ჩადის ძალების გამოსვლას, რომლებიც ჩადის ტბის გასწვრივ იყვნენ განლაგებულები. (Human Rights Watch, 2018)

2018 წელს ბოკო ჰარამის გაყოფა შენარჩუნდა. JAS-ი მეტად ძლიერი და აქტიური იყო და ასევე მეტად ტრანსნაციონალური მის ოპერაციებში. მიუხედავად ამისა, ეს ორი ჯგუფი იდეოლოგიურად მსგავსი იყო და გარე მედიაც ერთ ჯგუფად განიხილავდა.

2018 წლის თებერვალში ბოკო ჰარამის მებრძოლებმა კიდევ ერთი მასობრივი გატაცება განახორციელეს, როცა 110 მოსწავლე გოგონა გაიტაცეს დაპაჩის ტექნიკური კოლეჯიდან.
2019 წელს ბოკო ჰარამი კვლავ აგრძელებდა თავდასხმებს როგორც მთავრობისა და უსაფრთხოების ძალების, ასევე სამოქალაქო პირების წინააღმდეგ. ISWAP-ის თავდასხმები მეტად ფოკუსირებული იყო სამთავრობო და უსაფრთხოების ძალებზე. განსაკუთრებული დატვირთვა მოდიოდა სატრანსპორტო გზებზე ბორნოს შტატის მასშტაბით. JAS-ი თავდასხმებისას არ ერიდებოდა სამოქალაქო მსხვერპლს. ბოკო ჰარამმა 2019 წელს ასობით თავდასხმა განახორციელა ნიგერიაში, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ტექნიკით შესრულდა. იყო გატაცებები, თავდასხმები, ძარცვები, აფეთქებები. (Bureau of Counterterrorism, 2020)
დღესდღეობით ნიგერიას მსოფლიოში ტერორიზმის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონე აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმთან დაკავშირებული სიკვდილიანობა შემცირებულია, ზოგადი სიტუაცია საკმაოდ მძიმე რჩება. 2011 წლიდან 2021 წლამდე ბოკო ჰარამთან დაკავშირებულ კონფლიქტს 20 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.
შემდეგ თავებში განხილული იქნება დაჯგუფების ადმინისტრაციული მოწყობა, ფინანსები, მათ მიერ სამიზნეების შერჩევის სტრატეგიები და მთავრობის პასუხები.

ბოკო ჰარამის ისტორიის დასაწყისში იბნ თაიმია მასჯიდი (მეჩეთი) იყო რელიგიური სექტის შტაბ-ბინა. მუჰამედ იუსუფი და მისი მოადგილე აბუბაქრ შეკაუ უძღვებოდნენ ორგანიზაციას ამ მეჩეთიდან, რომელიც მაიდუგურიში მდებარეობდა.
დაჯგუფებას ჰქონდა სამი მნიშვნელოვანი ორგანო, მათ შორის კაბინეტი, რომელიც შედგებოდა ლანგინებისგან (დეპტარტამენტები), შურასგან (საკონსულტაციო საბჭო) და ჰისბასგან (მცველების რაზმი/მილიცია). (იხ. ფიგურა 1)

ფიგურა 1

კაბინეტი: კაბინეტი შედგებოდა რამდენიმე სხვადასხვა მომსახურების დეპარტამენტისგან, როგორებიცაა ეკონომიკური ურთიერთობები, რელიგიური ურთიერთობები და ა.შ. თითოეულ ლანგინას (დეპარტამენს) მართავდა სპეციალურად დანიშნული მოხელე.

შურა: ეს იყო საკონსულტაციო საბჭო ან ერთგვარი ბოკო ჰარამის პარლამენტი. ის ქმნიდა „კანონებს“ დაჯგუფებისთვის. ეს კანონები შესაბამისობაში მოდიოდა შრიათის კანონებთან და არა ნიგერიის ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის კოდექსთან. ეს ორგანო იყო ძალიან

მნიშვნელოვანი ნაწილი დაჯგუფებისა, რადგან შარიათის კანონმდებლობაზე იყო დაფუძნებული მისი სოციალური კონტროლი.

2006 წელს შურამ გამოსცა ხელმოწერილი საბუთი, რომლის მიხედვითაც ისლამი აძლევს უფლებას სექტას იარსებოს ისეთი თანამედროვე მთავრობის პირობებში, როგორიცაა ნიგერიის, თუმცა ის შეიცავდა გაფრთხილებას, რომ ბოკო ჰარამის წევრებს არ შეეძლოთ გამხდარიყვნენ ნიგერიის მთავრობის წევრები, ან მხარი დაეჭირათ მისთვის მანამ, სანამ სამთავრობო სისტემები, სტრუქტურები და ინსტიტუციები შეიცავდნენ ისეთ ელემენტებს, რომლებიც ისლამური პრინციპებისა და რწმენების საწინააღმდეგო იყო. (Sani S. , 2011)

ჰისბა: ეს არის ბოკო ჰარამის პოლიცია. მუსლიმურ ჩრდილოეთში ჰისბას სააგენტოები ძალიან გავრცელებულია და მათი მოვალეობაა შარიათის კანონების აღსრულება. ჰისბას როლია აღმოაჩინოს კანონდამრღვევები, დააპატიმროს ისინი, გადასცეს შარიათის სასამართლო სისტემას გასასამართლებლად და დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში - დასაჯოს.

ჰისბა მნიშვნელოვანი ორგანოა შიდა უსაფრთხოების და დანაშაულის კონტროლისთვის. ტერიტორიებზე, რომელთაც ბოკო ჰარამი აკონტროლებდა და საჯარო უსაფრთხოების სააგენტოებს (როგორიცაა, მაგალითად ნიგერიის პოლიცია) არ ჰქონდათ წვდომა, ჰისბა წარმოადგენდა სამართალდამცავ ორგანოს, რომელიც მოქმედებდა შარიათის კანონების მიხედვით. ჰისბას შეეძლო დაეპატიმრებინა სიმთვრალის, არაშესაფერისი ჩაცმულობის, ღვთის გმობის და სხვა საქციელების გამო, რაც შარიათის კანონებით იკრძალება.

შარიათის კანონების გარდა ჰისბა ასევე უზრუნველყოფს წესრიგს კომუნებში. ჰისბა, როგორც რელიგიური პოლიცია უზრუნველყოფდა, რომ „დასავლურ ნაკლოვანებებს“ არ მოეკიდებინა ფეხი.

მცველთა ბრიგადა: მცველების პირდაპირი მოვალეობა იყო მუჰამედ იუსუფის და მისი მოადგილის, აბუბაქრ შეკაუს დაცვა. ბრიგადა შედგებოდა ახლო დაცვის გუნდისგან, რომელიც თან დაჰყვებოდა ლიდერს და იცავდა, როდესაც იყო გამოსვლები.

სამხედრო ფრთა: სამხედრო ფრთას წარმოადგენდა შეიარაღებული რაზმი. მათი როლი იყო იმ კომუნების დაცვა, სადაც ცხოვრობდნენ ბოკო ჰარამის წევრები და მათი ოჯახები, ასევე ისინი იცავდნენ ბოკო ჰარამს თავდასხმებისგან.

ხშირია სპეკულაციები იმასთან დაკავშირებით, თუ საიდან მოდის ბოკო ჰარამის თუ სხვა ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსება. ბოკო ჰარამთან დაკავშირებით ეს საკითხი მოკლედ რომ განვიხილოთ, დაფინანსების ნაწილი მოდის თვალსაჩინო კრიმინალური აქტივობებისგან, როგორიცაა გატაცებები და გამოსასყიდის მოთხოვნა, ფართო და მცირე მასშტაბიანი ძარცვები. ბოკო ჰარამი არაა ცნობილი, როგორც დიდი ფინანსური რესურსების მქონე დაჯგუფება, ამიტომაც ხშირად ჩნდებოდა კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ საიდან ჰქონდათ მათ იარაღი. ასევე ჯიპების ქარავანი, რომლებიც საკმაოდ ძვირადღირებულად ითვლებოდა. ერთ-ერთი შემთხვევისას ბოკო ჰარამისგან 700 მანქანა ამოიღეს. გარდა იარაღის და ტრანსპორტის შეძენისა, ბოკო ჰარამი მებრძოლებსაც უხდის ხელფასებს, ასევე დიდი რაოდენობის თანხას უხდიან თვითმკვლელ ტერორისტებს სანამ მისიას შეასრულებენ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარჯის მიმართულებაა ასევე პროპაგანდა. ამიტომაც ჩნდება კითხვა, საიდან მოდის ეს თანხა?

- **დაცვის გადასახადი** - ცნობილია, რომ მიუხედავად ხშირი უარყოფისა შტატების მმართველები ხშირად უხდიდნენ ბოკო ჰარამს ე.წ. „დაცვის გადასახადს“ რათა უზრუნველეყოთ შტატის უსაფრთხოება.
- **გამოსასყიდი** - ბოკო ჰარამი დიდ თანხას იღებს გატაცებული პირების გამოსასყიდის სახით. მაგალითად დაუდასტურებელი ინფორმაციით ბოკო ჰარამმა 13 მილიონი აშშ დოლარი მიიღო ჩიბოკის გატაცების მოლაპარაკებებში 2016 წელს.
- **უცხოელების გატაცება** - ასევე შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა უცხოელების გატაცება. 2013 წლის აპრილში ბოკო ჰარამმა ჩრდილოეთ კამერუნში გატაცებული ფრანგი ოჯახის გამოსასყიდის სახით 3.15 მილიონი დოლარი მიიღო.
- **შეიარაღებული ძარცვა** - შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა ბოკო ჰარამის მიერ განხორციელებული ბანკისა თუ სხვა სახის შეიარაღებული ძარცვები.
- **გადასახადები** - მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლის ეს წყარო მუდმივი არაა, იმ პერიოდებში, როდესაც ბოკო ჰარამი ტერიტორიებს და მნიშვნელოვან გასასვლელებს აკონტროლებდა, ის აწესებდა გადასახადებს. მაგალითად, 2012-2015 წლებში ბორნოს, იობეს და ადამავას შტატების დიდ ნაწილში ბოკო ჰარამს გადასახადები ჰქონდა დაწესებული.
- **ადამიანებით ვაჭრობა** - არსებობს ეჭვები, რომ ბოკო ჰარამი ჩართულია ადამიანებით ვაჭრობაში. ბევრი მოსაზრებით, გატაცებული გოგონებს ხშირად ყიდდნენ ნიგერიის გარეთ.
- **ნარკოვაჭრობა** - ბოკო ჰარამი სარგებელს იღებს საჰელის რეგიონში გავრცელებული ნარკოვაჭრობით, რადგან ხელის შეწყობის სანაცვლოდ გადასახადებს იღებენ.
- **ვაჭრობა** - როგორც რამდენიმე დაპატიმრებულმა მებრძოლმა გაამხილა, ბოკო ჰარამს ჰქონდა გადაყიდვის გამოცდილება. ერთ-ერთი მაგალითია ბორნოს შტატში თევზით ვაჭრობა.
- **შემოწირულობები** - ბოკო ჰარამი დიდი რაოდენობით თანხას იღებს როგორც ქვეყნის შიდა, ასევე ნიგერიის გარეთ მათი მხარდამჭერებისა და გულშემატკივრებისგან.

ბოკო ჰარამი ამ და სხვა სახის შემოსავლის წყაროებს იყენებს ტერორისტული აქტების და პროპაგანდის დასაფინანსებლად. აღსანიშნავია, რომ ბოკო ჰარამი ძირითადად ნაღდ ფულს იყენებს, რადგან მათი თქმით არ ენდობიან საბანკო სისტემას, ამიტომაც უმეტესწილად თავიდან ირიდებენ გადარიცხვას და სხვა რეგულარულ ფინანსურ სისტემებს. (Financial Action Task Force, 2013)

ბოკო ჰარამის რეკრუტირების სტრატეგიები

ამ თავში განხილული იქნება ბოკო ჰარამის მიერ რეკრუტირებისთვის გამოყენებული რამდენიმე სტრატეგია, მაგრამ სანამ ამ სტრატეგიების განხილვაზე გადავლთ, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ როგორც დაჯგუფებამ, რომელსაც 6000-ზე მეტი აქტიური მებრძოლი ჰყავს და ტრანსნაციონალურად მოქმედებს, ბოკო ჰარამმა ინდივიდების რეკრუტირება კამერუნიდან,ჩადიდან, ნიგერიდან, მალიდან დალიბიიდან მოახერხა. (Walker, Join us or die: the birth of Boko Haram, 2016) რამდენიმე ფაქტორი არსებობს, რამაც ხელი შეუწყო ბოკო ჰარამის ტრანსნაციონალურ წვდომას უცხოელი მებრძოლების რეკრუტირებისთვის. პირველი, ესაა ნიგერიის საზღვრის სავალალო მდგომარეობა, რაც შესაძლებლობას აძლევდა ხალხს არალეგალურად შემოსულიყო ქვეყანაში ყველანაირი სასაზღვრო პუნქტებისა და იმიგრაციის ოფიცრების გარეშე. მეორე არის დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოების ეკონომიკური საზოგადოების (ECOWAS) რეგიონში ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების პოლიტიკის ბოროტად გამოყენება, რამაც კრიმინალებს მარტივად გადაადგილების შესაძლებლობა შეუქმნა. მესამე არის საზოგადოებრივი, კულტურული და რელიგიური ბმა ჩრდილო-აღმოსავლეთ ნიგერიის მოსახლეობასა და ჩადის ტბის და საჰელის რეგიონების ქვეყნების მოქალაქეებთან, განსაკუთრებით კი ჩადელებს, ნიგერელებსა და მალელებთან, რაც შესაძლებლობას აძლევდა მათ მარტივად ინტეგრირებულიყვნენ. სწორედ ამ ფაქტორების გამო გახდა ბოკო ჰარამი მეტად ამბიციური სხვა ქვეყნებიდან წევრების მოზიდვის კუთხით. შესაბამისად მისი საერთაშორისო შემადგენლობა საფუძველს აცლის იმ მოსაზრებას, რომ ბოკო ჰარამის წევრები არიან ნიგერიელი გაუნათლებელი და ღარიბი ხალხი, რადგან ბევრგან გამოჩნდა, რომ ბოკო ჰარამი იზიდავს რეკრუტებს ბევრი სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური, საგანმანათლებლი, კულტურული, რელიგიური და იდეოლოგიური ფონით. (Mercy Corps, 2016) სწორედ ამიტომ არასწორი იქნება იმის მტკიცება, რომ ბოკო ჰარამის მიერ რეკრუტირება რომელიმე ჯგუფითაა შემოფარგლული.

ტერორისტული ორგანიზაციები დიდწილად ეყრდნობიან ადამიანურ რესურსს თავიანთი აქტივობების გასატარებლად. ბოკო ჰარამი, ისევე როგორც სხვა ტერორისტული ორგანიზაციების უმეტესობა, რამდენიმე სტრატეგიას იყენებს ინდივიდების რეკრუტირებისთვის, მაგალითად როგორებიცაა დარწმუნება, დათანხმება, ფინანსური წახალისების დაპირება.

უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობის და გაუმჯობესებული კეთილდღეობის დაპირება არის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგია, რომელსაც ბოკო ჰარამი იყენებს წევრების მოსაზიდად. როგორც კვლევებმა აჩვენა, ინდივიდების უმეტესობა ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობას, სიღარიბეს, დაუსაქმებლობას და კეთილდღეობაზე წვდომის არარსებობას ასახელებს ბოკო ჰარამთან შეერთების მიზეზებად. (Mercy Corps, 2016) ბოკო ჰარამი სარგებლობს იმით, რომ, მაგალითად, ნიგერიის მთავრობას არ გააჩნია შესაძლებლობა შესთავაზოს თავის მოქალაქეებს ბევრი სერვისი თუ შესაძლებლობა და სთავაზობს მათ ფინანსურ სარგებელს, თუკი შეუერთდებიან. ნარატივი, რომ ბოკო ჰარამი თავის მებრძოლებს ხანდახან დღეში 3000 დოლარს უხდის, მეტად იზიდავს და მოტივაციას აძლევს ინდივიდებს შეერთდნენ დაჯგუფებას, რათა უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნან. (Nduka, 2019) ძალადობრივი გაწვევა არის კიდევ ერთი სტრატეგია, რომელსაც აქტიურად იყენებს ბოკო ჰარამი. კვლევები გვაჩვენებს, რომ მისი აქტივობების დაწყების შემდეგ, ბოკო ჰარამმა 8000-ზე მეტი ბავშვი ჩაწერა თავის რიგებში, რომლებიც ასრულებდნენ საბრძოლო თუ არასაბრძოლო აქტივობებს. (BBC News, 2019) ასევე ბოკო ჰარამს ჰყავს გატაცებული ქალები და გოგონები, რომელთაგანაც ზოგიერთს აიძულებენ სუიციდური თავდასხმების განხორციელებას, ზოგი კი გახდა მათი მზარეული, ან რომელიმე წევრის ცოლი. გლობალური ტერორიზმის მონაცემთა

ბაზის ანგარიშმა გამოავლინა, რომ ჩადის ტბის რეგიონში განხორციელებული 150 სუიციდური თავდასხმა ბავშვებისა და ქალების მიერ იყო ჩადენილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბოკო ჰარამი არის ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც ყველაზე დიდი პროპორციით ახდენს ქალების რეკრუტირებას, რადგან მათი თვითმკვლელი თავდამსხმელების 50%-ს ქალები წარმოადგენენ. (Global Terrorism Database, 2018) კანგდიმ დინგჯი მაზა, რომელიც ბოკო ჰარამის რეკრუტირების სტრატეგიებს იკვლევს გაესაუბრა ანონიმურ წყაროს მაიდუგურიდან, რომელმაც თქვა: „ეს უკვე დიდი ხანია სიახლე აღარ არის, რომ ბოკო ჰარამი აიძულებს თავიანთ ქალებს აიფეთქონ თავი. ისინი მუდმივად აუპატიურებენ მათ, რათა დაფეხმძიმდნენ და ამბობენ, რომ ამზადებენ ტერორისტების ახალ თაობას, რათა გააგრძელონ მათი იდეოლოგია“. ამ გზით რეკრუტირება ამცირებს ბოკო ჰარამის ხარჯებს, რადგან იძულებით რეკრუტირებულებს არ უხდიან ფულს. ეს ასევე ზრდის მათ ცნობადობას და პროპაგანდას, რადგან კარგად ჩანს, თუ რამდენად მარტივად შეუძლიათ ქალებსა და ბავშვებს ეჭვის გამოწვევის გარეშე მიაღწიონ სასურველ მიზნამდე.

ერთ-ერთი გამოცდილი ხერხი რეკრუტირებისა ბოკო ჰარამისთვის არის ნაღდი ფულის სესხების მახეები. ბოკო ჰარამი ამას იყენებს, როგორც ბიზნეს მოდელს, როგორც დახმარებას ახალგაზრდებისთვისს, რომლებიც დაუსაქმებლები არიან, ვაჭრებისთვის, რომლებსაც უჭირთ ბიზნესის შენარჩუნება. ისინი, ვისაც არ შეუძლია ვალის დაბრუნება იძულების გზით რეკრუტირდებიან დაჯგუფებაში, ან უნდა მიაწოდონ სენსიტიური ინფორმაცია MNJTF-სთან დაკავშირებით. ასევე ვინაიდან და რადგანაც ისინი აკონტროლებენ მეთევზეობის ბიზნესს, ვინც ვერ იხდის ვალს დროულად, რაღაც პერიოდი შეიძლება სათევზაო აქტივობებში დასაქმდეს, რაც ვალის გადახდის წინაპირობა უნდა იყოს. ეს ბიზნეს მოდელი ზრდის ბოკო ჰარამის ფინანსებს და ასევე იძლევა რეკრუტირების დიდ შანსს.

21-ე საუკუნეში კარგად ჩანს რა გავლენას ახდენს წინსვლა ინფორმაციასა და ტექნოლოგიებში, სადაც ინტერნეტი და განსკუთრებით კი სოციალური მედია ტერორისტული ორგანიზაციების მიერ მებრძოლების რეკრუტირების ერთგვარ მნიშვნელოვან სივრცედ იქცა. არის ისტორიები, როცა ახალგაზრდები იკარგებოდნენ მას შემდეგ, რაც მიდიოდნენ მეგობრებთან შესახვედრად, რომლებიც ინტერნეტში გაიცნეს. ტერორისტული დაჯგუფებები, როგორიცაა ბოკო ჰარამი აქტიურად იყენებენ მსგავს პლატფორმებს თავიანთი ვიდეოების გასავრცელებლად, იდეოლოგიის გაპიარებისა და პროპაგანდისთვის. (United Nations Development Programme, 2017)

რელიგიის ნეგატიურად ინსტრუმენტალიზაცია არის აგრეთვე ერთ-ერთი ხერხი, რასაც ბოკო ჰარამი იყენებს. ხშირია ბოკო ჰარამის მიერ რადიკალიზაციის, ცრუ სწავლებების და რელიგიის არასწორად ინტერპრეტირების გზით ახალწვეულების რეკრუტირება. სწავლულები სოციო-ეკონომიკურ და კულტურულ პრობლემებს უსვამენ ხაზს, რომლის წინაშეც ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონი დგას და, შესაბამისად, აფიქრებინებენ ხალხს, რომ მათი პრობლემების მიზეზი დასავლური განათლება და ცივილიზაციაა.

ბოკო ჰარამი ასევე კარგად იყენებს მთავრობის მხრიდან უყურადღებობას და იმის შესაძლებლობის არქონას, რომ ხალხის ფუნდამენტურ საჭიროებებს მიხედოს. მთავრობის მიერ პრობლემების გადაჭრის უნარის ნაკლებობა, დაუსაქმებლობა, ადამიანთა უფლებების

რღვევა, სიღარიბე, რადიკალიზაცია, გაუნათლებლობა, უთანასწორობა ქმნის ბოკო ჰარამისთვის შესაძლებლობას, რომ თავისი თავი წარმოადგინოს მთავრობის ალტერნატივად. ნიგერიის მთავრობამ ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში ბოკო ჰარამის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე პასუხისმგებლობა მოიხსნა, რამაც აიძულა ხალხი, რომ ბოკო ჰარამისთვის მიემართათისეთი საბაზისო მოთხოვნილებებით, როგორიცაა საჭმელი, წყალი და სამედიცინო ნივთები. აღმოჩნდა, რომ ბოკო ჰარამი არა მარტო აწვდიდა მსგავს სერვისებს, არამედ გადასახადებსაც აგროვებდა. ამიტომ მოსახლეობა ბოკო ჰარამს მთავრობის ალტერნატივად ხედავს და მოტივირებულებიც ხდებიან შეუერთდნენ მას. შესაბამისად, სანამ მთავრობა უყურადღებობას გამოიჩენს, ეს რისკები გაიზრდება.

ამ ტაქტიკებით კარგად ჩანს თუ რატომ და როგორ აგრძელებს ბოკო ჰარამი გაფართოებას, მიუხედავად იმისა,რომ არსებობს რაღაც ზომები, რასაც მათ წინააღმდეგ იყენებენ. მაგალითად, ნიგერიის მთავრობის მიერ გატარებული ზოგიერთი ადმინისტრაციული ზომა მოიცავს მრავალმხრივ მიდგომას, რაც გულისხმობს დარწმუნებას, დიალოგსა და კონსულტაციებს პოლიტიკურ, რელიგიურ და საზოგადოებრივ ლიდერებთან იმ შტატებსა და თემებში, რომლებიც დაზარალებულები არიან ტერორისტული აქტივობებით. ამის მიზანია, რომ ხალხს მიეცეს კონტრ-ნარატივების მოსმენის საშუალება, რათა რადიკალიზაცია თავიდან აირიდონ. ასევე ასეთი ზომა იყო ბორნოს, იობეს და ადამავას შტატებში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან ერთად ხუთწლიანი სავაჭრო ემბარგოს დაწესება, რაც ხელს უშლის ბოკო ჰარამის ტრანსნაციონალურ კრიმინალურ აქტივობებს. ასევე ჩაეშვა „ოპერაცია უსაფრთხო დერეფანი“, რომელიც მუშაობდა დერადიკალიზაციის, რეაბილიტაციის და ბოკო ჰარამის წევრების ფსიქო-სპირიტუალური თერაპიის შედეგად კლვავ საზოგადოებაში რეინტეგრირების თემებზე. ასევე ნიგერიის მთავრობა ჩართულია რამდენიმე პროგრამაში, რომლებიც ფინანსურ საკითხებთანაა დაკავშირებული, როგორიცაა ფულის გათეთრება, რადგან ტერორისტების მიერ რეკრუტირება მჭიდროდაა დაკავშირებული მათ შესაძლებლობასთან, დააფინანსონ თავიანთი ოპერაციები.

ბოკო ჰარამთან ბრძოლა - სტრატეგიები

ათწლეულზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ნიგერიამ კონტრ-ტერორისტული ოპერაციები დაიწყო ბოკო ჰარამის წინააღმდეგ. მიუხედავად მცდელობისა, ბოკო ჰარამი დღემდე არ არის შეჩერებული და შესაბამისად ოპერაციებიც გრძელდება. ამ თავში განხილულია ნიგერიის კონტრ-ტერორისტული სტრატეგია და ოპერაციები.

სამხედრო ოპერაციები

ბოკო ჰარამის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიები ძირითადად კინეტიკური ოპერაციებისგან შედგება - სახმელეთო და საჰაერო თავდასხმები, რომელთა ძირითადი მიზნებიც არის სამოქალაქო წესრიგის შენარჩუნება, სამოქალაქო წესრიგისა და კანონების აღდგენა, ტერორისტების დაკავება/განადგურება, სამბისას ტყის (სადაც ბოკო ჰარამის წევრები თავს აფარებენ) გაწმენდა, ლიდერების დაკავება, ბოკო ჰარამის ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკის განადგურება და ა.შ. სამხედრო ტაქტიკები მოიიცავს გზების გადაკეტვას, კორდონებს, სამძებრო ოპერაციებს, რეიდებს სავარაუდო სამალავებზე, ღია დაპირისპირებას, მასობრივ დაკავებებს და სხვას.

პირდაპირი სამხედრო ოპერაციები ძირითადად შედგება სახმელეთო მოქმედებებს და პერიოდულ საჰაერო ოპერაციებს. ეს სამხედრო ოპერაციები სხვადასხვა კოდური სახელებით ტარდებოდა. ამ თავში განხილული იქნება ნიგერიის მთავრობის მიერ ჩატარებული სხვადასხვა ოპერაციები. თავდაპირველი სამხედრო ოპერაცია ჩაეშვა 2011 წლის ივნისში, რომელსაც კოდური სახელი - ოპერაცია წესრიგის აღდგენა I (Operation Restore Order I – ORO) ეწოდა. ეს იყო სამხედრო გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური ძალების (JTF) ოპერაცია, რომელიც შედგებოდა ნიგერიის შეიარაღებული ძალების, ნიგერიის პოლიციის, ნიგერიის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის, ნიგერიის საბაჟო სერვისის, ნიგერიის იმიგრაციის სერვისისა და თავდაცვისა და დაზვერვის სააგენტოს წევრებისგან. ძირითადი სამოქმედო არეალი იყო ბორნოსა და იობეს შტატები. შემდეგ ეს ოპერაცია განახლდა ORO II-ს და ORO III-ს სახით, რომელთა მოქმედების არეალშიც შედიოდა უკვე როგორც ბორნოს და იობეს, ასევე ბაუჩის შტატიც. მიზანი იყო ამ ტერიტორიებზე სამოქალაქო წესრიგის აღდგენა. ამ JTF ოპერაციებს 2012 წელს დაემატა მრავალეროვნული გაერთიანებული ძალები (MNJTF), რომელიც ამ წლის განმავლობაში კონტრ-ტერორისტულ ოპერაციებს ახორციელებდა.

ბოკო ჰარამის წევრების მიერ შეტევის გაგრძელებამ და გახშირებული აფეთქებებისა და თავდასხმების სერიამ გამოიწვია ბორნოს, იობესა და ადამავას შტატებში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება 2013 წლის 14 მაისს. ამ მოვლენასთან დაკავშირებით შედგა ოპერაცია BOYONA (ეს არის აკრონიმი იმ შტატების სახელებისა, სადაც ოპერაცია ხორციელდებოდა - ბორნო, იობე, ნასარავა და ადამავა). ეს ოპერაცია შედგა იმისთვის, რომ აღესრულებინა საგანგებო მდგომარეობის წესრიგი და მის მთავარ როლს, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა ბოკო ჰარამის შეჩერება, უფრო კონკრეტულად კი მათ მიერ იმპროვიზებული ასაფეთქებელი საშუალებების გამოყენების შეჩერება. ოპერაცია BOYONA სამი თვის განმავლობაში გრძელდებოდა და შემდეგ ჩაეშვა ოპერაცია ZAMAN LAFIYA (რაც ნიშნავს ოპერაცია ცხოვრება მშვიდობაში), რომელიც იმავე მანდატს ახორციელებდა, რაცას ოპერაცია BOYONA. 2009 წლიდან 2013 წლამდე გატარებული ოპერაციები არ იყო ორიენტირებული ბოკო ჰარამის სრულად აღმოფხვრაზე, ტერიტორიიდან გაძევებასა და მსგავს მიზნებზე. მაგალითად, ORO I, II და III ოპერაციები ძირითადად მიმართული იყო წესრიგის აღდგენისკენ, ასევე ოპერაცია BOYONA მიზნად ისახავდა ბოკო ჰარამის აქტივობების ეპიცენტრი შტატების მიღმა გავრცელების შეკავებას.

2013 წელს ნიგერიის ტერიტორიების ნაწილი ბორნოს, იობეს და ადამავას შტატებში ბოკო ჰარამის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ნიგერიის ტერიტორიების ამგვარად მითვისებამ გამოიწვია პრეზიდენტ გუდლაქ ჯონათანის მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. პრეზიდენტმა ჯონათანმა განაცხადა „ტერორისტებმა და ამბოხებულებმა , რომელთაც გაანადგურეს ნიგერიის დროშა და სახელმწიფო ავტორიტეტის სხვა სიმბოლოები და მათ ადგილას აღმართეს უცხო დროშები, რაც ალტერნატიული სუვერენიტეტის განხორციელებაზე მიუთითებს... დაესხნენ თავს სამთავრობო შენობებსა და ობიექტებს... მოკლეს უდანაშაულო მოქალაქეები და სახელმწიფო პირები... წაუკიდეს სახლებს ცეცხლი, გაიტაცეს ქაკები და ბავშვები.. ეს ქმედებები ნიშნავს მათი მხრიდან ომის გამოცხადებას და ნიგერიის სახელმწიფოს ავტორიტეტის და მისი ტერიტორიული მთლიანობის განზრახ დამცირებას“. 2015 წლის 16 ივლისს ჩამოყალიბდა ოპერაცია LAFIYA DOLE (მშვიდობა ძალისმიერად), რათა მორგებოდა ბოკო ჰარამის ტაქტიკების ცვალებად ბუნებას. ახლადდანიშნულმა არმიის მეთაურმა ტუკურ ბურატაიმ განაცხადა, რომ ეს სახელი პირდაპირი მინიშნება იყო, რომ ბოკო ჰარამთან გამკლავების გზად ქმედება ესახებოდათ და არა ლაპარაკი. ამ მოვლენებიდან ექვსი წლის შემდეგ ნიგერიის არმია კვლავ ებრძვის ბოკო ჰარამს და 2021 წლის აპრილის ბოლოს ოპერაციას სახელი გადაარქვეს და უწოდეს HADIN KAI, რაც ჰაუსაზე კოოპერაციას ნიშნავს. უკან რომ დავბრუნდეთ, ვნახავთ, რომ ნიგერიის კონტრ-ტერორისტულ ოპერაციებს ხშირად ეცვლებოდა სახელი, თუმცა მიდგომა თითქმის იგივე რჩებოდა, შესაბამისად, შედეგიც თითქმის არაფერს ცვლიდა. 2015 წელს ასევე გამოჩნდა ოპერაცია SHARAN DAJI (ბუჩქების გაწმენდა) რათა დაემარცხებინა საქონლის გატაცება და შეიარაღებული ძარცვა ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში. თუმცა ეს დღესდღეობითაც დიდ პრობლემას წარმოადგენს ნიგერიაში და არამხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიებზე.

ისეთი ოპერაციები, როგორიც იყო CRACDOWN, RESCUE FINALE, DEEP PUNCH, LAST HOLD ემსხურებოდა LAFIYA DOLE-ს სხვადასხვა სპეციფიკური მიზნების შესრულებას. მაგალითად, ბოკო ჰარამისთვის იარაღის მოპოვების შესაძლებლობების შეზღუდვა და მათი პოზიციების დაბლოკვა, სამბისას ტყის აღება, სამბისას ტყიდან ამბოხებულთა გამოდევნა და ჩრდილო-დასავლეთ რეგიონის ძველებურ მდგომარეობაში დაბრუნება, ბოკო ჰარამის სამალავების სრული განადგურება ჩადის ტბის აუზის ტერიტორიაზე, გატაცებულთა გამოხსნა და ა.შ.

2009 წლიდან მოყოლებული ბევრი ქვეყანა დაეხმარა ნიგერიას თუნდაც სამხედრო თვალსაზრისით, ებრძოლა ბოკო ჰარამის წინააღმდეგ, მაგალითად იარაღის, აღჭურვილობის, წვრთნების და ფინანსური დახმარების სახით. მაგალითად, ჩიბოკის ინციდენტის შემდგომ აშშ-მ 8.4 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის თანხა გამოყო და ასევე სადაზვერვო დახმარებაც გაუწია. ასევე 2014 წელს 650 ნიგერიელ ჯარისკაცს გაატარეს წვრთნა კონტრ-ტერორიზმის მიმართულებით. თუნდაც ისეთ მცირე მონაკვეთში, როგორიცაა 2013-2014, ნიგერიამ მიიღო იარაღი შემდეგი ქვეყნებისგან: კანადა, ჩინეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, საფრანგეთი, გერმანია, ისრაელი, ნორვეგია, რუსეთი, სამხრეთ აფრიკა, უკრაინა და აშშ. ასევე 2012 წელს ნიგერიამ ხელი მოაწერა მემორანდუმებს 17 ქვეყანასთან[2] ურთიერთგაგების მემორანდუმებს სამხედრო კოოპერაციასთან დაკავშირებით საერთო სამხედრო ვარჯიშების და წვრთნების პროგრამების გაცვლასთან დაკავშირებით. (Amnesty International, 2015) პერიოდული დახმარების პროგრამები წლების განმავლობაში გრძელდებოდა და 2021 წლის მაისის დასაწყისში G7-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 389 მილიონი აშშ დოლარის რაოდენობის თანხას გადასცემენ ნიგერიას.

2. ეს ქვეყნები იყო ბელარუსი, ბრაზილია, ჩინეთი, კორეის დემოკრატიული რესპუბლიკა, საფრანგეთი, გერმანია, განა, ინდოეთი, ლიბერია, პაკისტანი, რუმინეთი, სერბეთი, სან ტომე და პრინსიპი, თურქეთი, გაერთიანებული სამეფო და აშშ.

ეროვნული კონტრ-ტერორისტული სტრატეგია და საკანონმდებლო ჩარჩო

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ნიგერიაში მომხდარმა მნიშვნელოვანმა განვითარებამ და ცვლილებებმა ქვეყანას საკანონმდებლო და კონტრ-ტერორისტული ჩარჩო მოუტანა, რომელიც თანხვედრაშია საერთაშორისო კონტრტერორისტულ საკანონმდებლო ინსტრუმენტებთან. მნიშვნელოვანი მოვლენა ამ მიმართულებით იყო 2016 წელს ეროვნული კონტრ-ტერორისტული სტრატეგიის (NACTEST) გადახედილი ვერსიის გამოქვეყნება და შემდეგ 2017 წლის აგვისტოში სამოქმედო ჩარჩო და ეროვნული სამოქმედო გეგმა ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავებისთვის (PCVE). მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაბიჯებმა შექმნა საჭირო „კონცეფციური“ საწყისი წერტილი ბოკო ჰარამის მიერ შექმნილ საფრთხესთან დაპირისპირების უფრო შეთანხმებული ძალისხმევისთვის, შემდეგი ნაბიჯები ძალიან მნიშვნელოვანია როგორც სტრატეგიულ, ისე ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეზე.

მიუხედავად იმისა, რომ NACTEST-ი მაკოორდინებელ როლს კონტრ-ტერორისტულ სტრატეგიაში მეტად მოიაზრებდა ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველის ოფისისთვის (ONSA), ტერორიზმთან ბრძოლის ძირითადი პასუხისმგებლობა მაინც ნიგერიის არმიას რჩება. მეტიც, დაუცველობამ მნიშვნელოვნად შეამცირა ეროვნული მთავრობის შესაძლებლობა, რაიმე სახის კონტროლი დაამყაროს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში, სადაც არმია ებრძვის ბოკო ჰარამს. ასევე არმიის მხრიდან არასამართლებრივი ქმედებების ხშირმა შემთხვევებმა გამოიწვია მათი დემორალიზება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მთლიანობაში, ეროვნულ ხელისუფლებას, რომელიც ჩართულია კონტრ-ტერორისტულ პოლიტიკასა და სასაზღვრო უსაფრთხოებაში, არ გააჩნია ძლიერი ანალიტიკური ექსპერტიზა, კოორდინაცია და ინფორმაციის გაზიარებაც პრობლემად რჩება და შეგროვებული მონაცემები სისტემატურად არ განიხილება ანალიზისთვის. როცა ამგვარ კოორდინაციის პრობლემასთან ერთად ასევე ვაწყდებით ტექნიკური აღჭურვილობის და ინფრასტრუქტურის სიმწირეს, ნათლად ჩანს, რომ ისეთ პირობებში, როგორიც თანამედროვე ნიგერიაშია, საკმაოდ რთულია რაიმე ეფექტური გამოსავლის მოძებნა.

ნიგერიაში ტერორიზმთან ბრძოლისთვის ყოვლისმომცველი ჩარჩოს შექმნა ფაქტობრივად ფორმალიზდა ტერორიზმის პრევენციის აქტით, რომელიც გამოიცა 2013 წლის 7 თებერვალს და რომელსაც შესწორებები შეჰქონდა 2011 წელს გამოცემულ პირველ კონტრ-ტერორისტულ კანონში. აქტი ძირითადად განსაზღვრავდა სხვადასხვა სააგენტოების პასუხისმგებლობებს, ფუნქციებს და შესაძლებლობას აძლევდა სამართალდამცავ ორგანოებს დაეკავებინათ და გაესამართლებინათ ინდივიდები, რომელთაც ტერორიზმის ბრალდება ექნებოდათ. ასევე ეს დოკუმენტი აკისრებს ONSA-ს საკანონმდებლო და უსაფრთხოების სააგენტოებს შორის კონტრ-ტერორისტული ქმედებების დარეგულირების და ერთმანეთთან კოორდინაციაში მოყვანის პასუხისმგებლობას. ONSA არის შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს მეთვალყურეობის ქვეშ და იგი მოქმედებს როგორც პრეზიდენტის ძირითადი მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, განსაკუთრებით კი კონტრ-ტერორიზმთან მიმართებაში. (Comolli, 2015)

მიუხედავად იმისა, რომ განახლებული ტერორიზმის პრევენციის აქტი საჭირო საკანონმდებლო ჩარჩოს იძლეოდა, სამოქმედო ჩარჩო კონტრ-ტერორისტული მიმართულებით პირველად NACT-EST-ში გამოჩნდა. ეს დოკუმენტი თავდაპირველად პრეზიდენტმა გუდლაქ ჯონათანმა მიიღო 204 წელს და შემდეგ უკვე მოჰყვა მეორე ვერსია პრეზიდენტ ბუჰარის ადმინისტრაციის დროს, 2016 წლის აგვისტოში. NACTEST-ს აქვს მუშაობის 5 ძირითადი მიმართულება თითოეულს აქვს საკუთარი მიზნები. ეს ხუთი სვეტია: Forestall, Secure, Identify, Prepare და Implement.

1. Forestall - განჭვრეტა - მიმართულია რადიკალიზაციის რისკის შემცირებისკენ.
2. Secure - დაცვა - მოიცავს ქვეყნის უსაფრთხოების გაზრდას ტერორიზმის საფრთხეებთან მიმართებაში.
3. Identify - ამოცნობა - მიზნად აქვს ამოცნობისა და ადრეული გაფრთხილებების ხარჯზე წინასწარი პრევენციული ქმედებების განხორციელება და სასამართლო სისტემის გაძლიერება.
4. Prepare - მომზადება - მიზნად ისახავს ტერორისტული თავასხმების რისკის შემცირებას ასეთ შემთხვევებზე მთავრობის რეაგირების შესაძლებლობების გაზრდით.
5. Implement - დანერგვა - მიზანია ოპერაციულ და სტრატეგიულ დონეზე კოორდინაციისა და კოოპერაციის განხორციელება, როგორც ქვეყნის საზღვრებს შიგნით, ისე მის გარეთ. (Office of the National Security Advisor , 2016)

მიუხედავად იმისა, რომ ნიგერია პერიოდულ წარმატებებს აღწევს თავისი კონტრ-ტერორისტული კამპანიით, კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი, რადგან ბოკო ჰარამი კვლავ აქტიურია ჩადის ტბის აუზში.

მნიშვნელოვანი ტერორისტული აქტების სია

ამ თავში მოცემული სია არ არის სრული და არ მოიცავს ყველა აქტს, რომელიც ბოკო ჰარამს განუხორციელებია. მოვლენები დალაგებულია ძველიდან ახლისკენ. ამ სიაზე დაკვირვებით კარგად ჩანს, რომ ბოკო ჰარამს მრავალფეროვანი სამიზნეები ჰყავდა. ძირითადად გამოიკვეთება სამიზნეების რამდენიმე ჯგუფი:
სამხედრო და საპატიმრო ობიექტები - ციხეები, სამხედრო ბაზები, პუნქტები და ბანაკები, სამხედროები
სამართალდამცავები - პოლიციის შენობები, მანქანები, პოლიციელები
სკოლები და სტუდენტები - სახელმწიფო და სამთავრობო სკოლები, კოლეჯები და უნივერსიტეტები, მოსწავლეებისა და სტუდენტების გატაცება
ინფრასტრუქტურა - სხვადასხვა დანიშნულების შენობები, ცენტრები, ბაზრები, წყლის რეზერვუარები, ხიდები, სასტუმროები
სიწმინდეები - ეკლესიები, მეჩეთები
მიზანში ამოღებული მკვლელობები - პოლიტიკოსები, რელიგიური პირები, სამხედროები
განურჩეველი თავდასხმები - აფეთქებები ხალხის დიდ მასაში

2009 წლიდან მოყოლებული ბოკო ჰარამის აქტივობებმა ჯამში დაახლოებით 15 მილიონი ადამიანზე იმოქმედა მნიშვნელვნად. 20 000-დან 30 000-მდე ადამიანი შეეწირა ბოკო ჰარამის მიერ განხორციელებულ თავდასხმებს და 2.5 მილიონზე მეტი ადამიანი იძულებით გადაადგილებულია. (U.S. Department of State, 2020) ბოკო ჰარამის თავდასხმები წლების განმავლობაში სხვადასხვა ტენდენციებს გვიჩვენებს, როგორიცაა, მაგალითად, ეკლესიებზე, ბაზრებზე თავასხმები. დანართი 2 წარმოადგენს ბოკო ჰარამის მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტების არასრულ სიას, სადაც კარგადაა წარმოჩენილი მათი სტრატეგიების ცვლილებები და აქტების ბრუტალურობა.

მნიშვნელოვანი ტერორისტული აქტების სია - იხ. დანართი 2

შეჯამება

ბოკო ჰარამი უკვე ორ ათწლეულზე მეტია აგრძელებს აქტიურ მოღვაწეობას. დაჯგუფებამ განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა და მოქმედების არეალებიც შეიცვალა. იგი პატარა ლოკალური დაჯგუფებიდან სრულმასშტაბიან ტერორისტულ მოძრაობად გადაიქცა. მათი ნარატივი ორი ძირითადი თემით შემოიფარგლება: მათი ექსკლუზივისტური პრეტენცია ნამდვილი ისლამის წარმომადგენლობაზე და უკმაყოფილება სახელმწიფოსა და იმ ხალხის მიმართ, ვინც მათი წევრი არაა. თავიანთი ექსკლუზივიზმით მოქმედების შედეგად ბოკო ჰარამმა სამოქალაქო პირების მიმართ უდიდესი ბრუტალურობა გამოავლინა, მათ შორის ბევრი მუსლიმი იყო. მიუხედავად იმისა, რომ დაჯგუფების დამარცხება სამხედრო გზით თეორიულად შესაძლებელია, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ნებისმიერი ქმედება მათი მსხვერპლობის ნარატივს აღვივებს. ბოკო ჰარამის ისტორიამ დაგვანახა, რომ ლიდერობის შეცვლას დიდი ცვლილებები მოაქვს დაჯგუფების ქმედებების შეცვლაშიც. ნიგერიის არმიამ და ადგილობრივმა რეგიონალურმა სამხედრო ძალებმა 2021 წლის 20 მაისს ბოკო ჰარამის JAS ნაწილის ლდიერი, აბუბაქრ შეკაუ გარდაცვლილად გამოაცხადეს. მათი ინფორმაციით, შეკაუმ თავი აიფეთქა, რათა ტყვედ ჩაგდება თავიდან აერიდებინა. ვინაიდან და რადგანაც, შეკაუს გარდაცვალების შესახებ ცნობები არაერთხელ გავრცელებულა, ეს ინფორმაცია ჯერაც საეჭვოდ ითვლება. ასევე გამოითქვა მოსაზრებები, რომ ეს ბოკო ჰარამის მოქმედებაზე დიდ გავლენას არ მოახდენს, რადგან ISWAP-ი, რომელიც ბოლო დროს მეტად ძლიერი და კოორდინირებული იყო, ვიდრე JAS-ი, თავისუფლად შეძლებს, რომ შეკაუს დანაყოფის მებრძოლებიც შეიერთოს.

სამომავლო პერსპექტივაში ბოკო ჰარამთან დაპირისპირება მოითხოვს ყურადღების გამახვილებას როგორც ჩადის ტბის რეგიონში არსებულ მატერიალურ პრობლემებზე, ასევე მათ წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის დონეზე, რაც მათ მსხვერპლად წარმოჩენას შეიძლება უწყობდეს ხელს.

ბიბლიოგრაფია

Abbas, M. (2012, November 22). *Britain bans Nigerian Islamist group accused of murder*. Retrieved from Reuters: https://www.reuters.com/article/us-britain-nigeria-islamists-idUSBRE8AL0VN20121122

Al Jazeera. (2010, February 9). Retrieved from aljazeera.com: https://www.aljazeera.com/news/2010/2/9/video-shows-nigeria-executions

Amnesty International. (2015, January 29). *Boko Haram at a glance*. Retrieved from Amnesty International: https://www.amnesty.org/en/latest/news/2015/01/boko-haram-glance/

Anonymous. (2013). (V. Comolli, Interviewer)

BBC News. (2014, May 9). *Nigeria's Boko Haram leader Abubakar Shekau in profile*. Retrieved from BBC News: https://www.bbc.com/news/world-africa-18020349

BBC News. (2015, April 24). *Analysis: Islamic State strengthens ties with Boko Haram*. Retrieved from BBC News: https://www.bbc.com/news/world-africa-32435614

BBC News. (2015, March 13). *Islamic State (IS) has accepted a pledge of allegiance from Nigeria's militant group Boko Haram, according to an audio message.* Retrieved from BBC News: https://www.bbc.com/news/world-africa-31862992

BBC News. (2019, June 18). *Nigeria: 'Children used' as suicide bombers in Borno attack*. Retrieved from BBC News: https://www.bbc.com/news/world-africa-48674014

BBC News Africa. (2009, September 2). Retrieved from BBC News: http://news.bbc.co.uk/2/hi/africa/8233980.stm

Boyle, J. (2009, July 31). *News Front Page*. Retrieved from BBC News: http://news.bbc.co.uk/2/hi/africa/8172270.stm

Bureau of Counterterrorism. (2020). *Country Reports on Terrorism 2019: Nigeria.* U.S. Department of State.

